№ 155

ხუთშაბათი, 1 სექტემბერი

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 155

ხუთშაბათი, 1 სექტემბერი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ.. წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

საჯარო ბიბლიოთეკა

დღევანდელ ნომერთან ხელის-მომწერლებს ურიგდებათ პრემია „**ივერიის ბიბლიოთეკა**“ № 4, შემდეგის შინაარსით:

1) **ქოხში.**—სცენები სოფლის ცხოვრებიდან **ი. გომართელისა.**
2) **ტყვეობაში.**—ლ. მელშინისა, თარგმ. ვ. გ—სა..
3) **საპოლიტიკო ეკონომიის კრიტიკა.**—ფ. ენგელსისა.

კნეინა ანნა ალექსანდრეს ასული ამილახორისა შვილებითურთ და ნატალია გივის ასული ტერიევისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა პირველი საყვარელისა მეუღლისას, მეორენი ძვირფასის მამისას და უკანასკნელი დაუვიწყარის ძმის გენერალ-ადიუტანტის

თავადის ივანე გივის ძე ამილახორისას.

რომელიც, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა ქ. გორში, 27 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე. პანაშვიდები ყოველ დღე. ნაშუადღევის 1 საათსა და საღამოს 7 საათზე. ქ. გორში. მიცვალებულის გვამს მიასვენებენ გორის ოქონის მღვთის-მშობლის ეკლესიაში 31 აგვისტოს. მიცვალებულს მოასვენებენ ტფილისის სადგურზე 31 აგვისტოსვე საღამოს 7 საათსა და 27 წუთზე. აქედან 1 სექტემბერს, დილის ცხრა საათზე, პროცესია გაემგზავრება ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, სადაც წირვის გათავების შემდეგ, მიცვალებულს მიწას მიაბარებენ. (2—1)

სავაჟო პროგიმნაზია ავლაბარში

ამ სამოსწავლო წლის დამდეგიდან **ავლაბარში გაიხსნება სავაჟო სამინისტრო პროგიმნაზია;** ამჟამად იხსნება ორი მოსამზადებელი, I და II ძირითადი კლასები. ვისაც ჰსურს მიაბაროს სასწავლებლად თავისი ბავში ამ პროგიმნაზიაში, უნდა მიჰმართოს თხოვნით და თან დოკუმენტები წარუდგინოს ინსპექტორს. თხოვნები მიიღება, კვირა-უქმე დღეებს გარდა, ყოველ დღე დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდე, ავლაბარში, პროგიმნაზიის სადგომში, როხოვის მოედანზე, ნუნუფაროვის სახლში. სწავლის გადასახადი წელიწადში 40 მ. ეგზამენების დაწყების დრო ცალკე იქნება გამოცხადებული.

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, **როგორც ქალებს, ისე ვაჟებს**, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1905—1906 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები ექნება სასწავლებელი: 1) **საკომერციო ეკონომია,** 2) **საკომერციო არითმეტიკა,** 3) **ბუხჰალტერია** (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) **არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი,** 5) **საკომერციო მიწერ-მოწერა,** 6) **სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი,** 7) მსწრაფლ-წერა და **წერა-გაკრული და შნოიანი** (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდან. ახლად შემოსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. პ. მანუელიანცს, ტფილისს.

უფასოდ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსების სწავლა ყოველ დღეა. (24—18)

სტუდენტი-

უნივერსანტი **ეძებს გაკვეთილებს,** ან რამე საქმეს. ანდრეევის ქუჩა, **№ 36. ნახვა** შეიძლება 4—6 საათ. საღ. და დილით 9—11 საათ. (2—2)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათ., საღამოთი 6—7 საათ. ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე), საკუთარი სახლი № 20, ტელეფონი № 791.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ე. უ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბძოლიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. ბ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ხ. ქ. აბიანცი—შინაგან ავადმყ. 7—8 საათ.

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

ხ. ტ. არჯანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს მსურველთ სახლში) და აცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ქ. ბძოლიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

ვაჭაძე სფირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და გარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

ექვთიმე ვაშაკიძე—ელიზავეტის და კიროჩნი ქუჩების კუთხე. სახლი ბარამოვისა № 112.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

ოფიციალური ცნობა

(„კავკაზი“ № 221)

29 აგვისტოს, საღამოს 9 საათზე, მუშათა ბრბო, ორივე სქესის ახალგაზრდათაგან შემდგარი, შეიჭრა საბჭოს დარბაზში, სადაც არავითარი კრება არ ყოფილა. გაიგო რა ეს, გენერალ-გუბერნატორმა მიმართა ქალაქის მოურავს და სთხოვა, მიეღო რაიმე საშუალება და ხალხი დარბაზიდან გაეყვანა. ამაზე ქალაქის მოურავმა უპასუხა: ამგვარ ყრილობას მე ქალაქის თვითმართველობის შეურაცხყოფადა ვსთვლი, მაგრამ მათი დარბაზიდან განდევნა არ ძალ-მიძსო. მაშინ გენერალ-გუბერნატორმა უბრძანა პოლიციას, ხალხი დარბაზიდან გაეყვანა. ადგილობრივი ბოქაული, რომელიც ამ მიზნით საბჭოს დარბაზში შევიდა, ხალხმა დარბაზიდან გამოაგდო. ამიტომ განკარგულება მოახდინეს, რომ ხალხი სამხედრო ძალით დაეშალათ, და გამოწვეულ იქმნა პოლტავის პოლკის მესამე ასეულის უფროსი. ასეულის უფროსი დარბაზში შევიდა და გენერალ-გუბერნატორის სახელით ხალხს წინადადება მისცა, დაშლილიყვნენ, ამასთან პირობა მისცა, თუ დამიჯერებთ და მშვიდობიანად დაიშლებით, არავის არ დავატუსაღებთო. ხალხმა ამაზე ყვირილითა და ხმაურობით უპასუხა და, თუმცა გასასვლელად გაემართნენ, მაგრამ კაზაკებს მაინც რევოლვერები დაუშინეს; ისროდნენ, აგრეთვე, ქუჩებიდანა და ეზოდან; ხალხის ერთმა ნაწილმა ლომბარდის კედელი გაანგრია, გავიდა და იქაც სროლა ატეხა; დაიჭრა კაზაკი და პოლიციელი, ამ გარემოებამ კაზაკებიც აიძულა, თოფი ესროლათ. წესიერების აღდგენის შემდეგ ოცდასამი მოკლული და ორმოცდა-ათამდე დაჭრილი აღმოჩნდა. ამ ამბავს გენერალ-გუბერნატორი თვითონ დაესწრო.

გლეხობის „ბურჟუობა“

—

წინანდელ წერილებში ჩვენ უმთავრესად ის აზრი გავატარეთ, რომ ს.-დემოკრატიას იმ საფუძვლით არ შეუძლიან წვრილ მესაკუთრეთა ეკონომიურ ინტერესების ქომაგობა, რომ ეს საზოგადოებრივი კლასი მას სიცოცხლის ძალას მოკლებულ საზოგადოებრივ ჯგუფად მიაჩნია, მისი მერმისი არა სწამს, მისი გაქრობა, როგორც ენგელსი ამბობდა, განვითარების აუცილებელ შედეგად აქვს წარმოდგენილი და ამიტომ იგი ვერ იმეცადინებს ეკონომიურ პროცესის შესაფერხებლად და აწინდელ ეკონომიურ წყობილებაში ვერ დაიწყებს, პოზიტიურ რეფორმების სახით, პრაქტიკულ მოქმედებას გლეხობისთვის შეღავათისა და დახმარების აღმოსაჩენად. ასეთ სამოქმედო ტაქტიკას მას ავალებს ერთერთი თეორიული თეზისი, რომელიც, ტეხნიკის განვითარების გამო, აუცილებელ მოვლენად აღიარებს წვრილ გლეხთა გაპროლეტარებას.

მაგრამ მარქს-ენგელსის მოძღვრებაში არის კიდევ სხვა პრინციპიც, რომელიც ს.-დემოკრატიულ პარტიას უკრძალავს გლეხობის, ვითარცა წვრილ მწარმოებელთა, მომხრეობას და მათი ინტერესების მფარველობას. ეს არის ის შეხედულება, რომელიც აქვს მარქსიზმს შესახებ გლეხთა კლასობრივ ხასიათისა და მათი საზოგადოებრივ პსიხოლოგიისა. მარქს-ენგელსის „მანიფესტში“ არის ერთი თავი, სადაც „რეაქციონურ სოციალიზმზე“ არის ლაპარაკი. რეაქციონურ სოციალიზმად არის აქ აღიარებული, სხვათაშორის, ის „სოციალიზმიც“, რომელიც წვრილ მესაკუთრეთა ანუ „წვრილ-ბურჟუაზიის“ ინტერესებს იცავს. წვრილი გლეხობა თავის არსებით რეაქციონურ ელემენტად არის დასახული მარქსისგან და ასევე რეაქციონურ მიმართულების შემცველად დახასიათებულია მისი იდეოლოგიაც. წვრილ მესაკუთრეთა იდეოლოგებს, „მანიფესტის“ სიტყვით (გვ. 26) მიზნად აქვთ ან ძველი საწარმოვო ურთიერთობის ხელახლა გაცოცხლება და ან ძველ კალაპოტში ახალ ურთიერთობის ძალად ჩაჩხირვა. მთელი ეს იდეოლოგია თავის მიმართულებით რეაქციონურია, რადგან თვითონ იმ საზოგადოებრივ კლასს, რომელსაც იგი ქომაგობს, რეაქციონური ხასიათი აქვს და არა პროგრესიული.

ერთის სიტყვით, გლეხობა არის წვრილი ბურჟუაზია, რომელიც, როგორც ბ-ნი გომართელი ამბობს, გაჟღენთილია ბურჟუაზიულ აზრებით. ამ საზოგადოებრივ კლასს, ვითარცა ბურჟუაზიულს, ცხადია, თავისი ბურჟუაზიული ინტერესებიც უნდა ჰქონდეს, და, რასაკვირველია, ს.-დემოკრატია, ვითარცა იდეოლოგი და ინტერესების დამცველი მხოლოდ პროლეტარიატისა, ვერ დაიცავს გლეხობას, ვითარცა ბურჟუაზიულ კლასს. ამ აზრს ადგია კაუტსკი და ყველა ეგრედ წოდებულ „ორთოდოქსალურ“ მარქსიზმის წარმომადგენელი. კაუტსკი, მაგალ., ამტკიცებს, რომ წვრილ გლეხობასა და ქირაზე მომუშავე პროლეტარიატს შორის ინტერესთა წინააღმდეგობა არსებობს და მათი მისწრაფება განსხვავდება როგორც აწმყოს მოთხოვნილების მხრივ, ისე სამერმისო იდეალის მხრივაც. რამდენადაც გლეხი, ამბობს კაუტსკი, მწარმოებელია, მას ბაზარზე გააქვს თავისი ნაწარმოები და იგი დაინტერესებულია, რაც შეიძლება დიდი ფასი მიიღოს გაყიდვის დროს. პროლეტარი კი, პირიქით, რადგან თვითონ არ ეწევა სასოფლო მეურნეობას და იძულებულია სხვადასხვა სანოვაგე იყიდოს, დაინტერესებულია სოფლის ნაწარმოებთა მცირე ფასებში და იმისთვის მით უფრო ხელსაყრელია, რაც უფრო გაიაფდება სოფლის მეურნეთაგან დამზადებული ნაწარმოები (გვ. 309). ამგვარად, კაუტსკის აზრით, წინააღმდეგობა ცხადია გლეხსა და ქალაქის მუშის შორის და ამიტომ მებრძოლ პროლეტართა ჯგუფში გლეხების შემოყვანა არ შეიძლება (გვ. 310). „მოსახერხებელია თუ არა მებრძოლ პროლეტარიატის გუნდში გლეხების გადაყვანა, — ამას, სწერს იგი, ის ფაქტი ვერ გადაგვაწყვეტინებს, რომ გლეხი მშიერია ან ვალებით დატვირთულია, არამედ შემდეგი გარემოება: ბაზარზე გლეხი გამყიდველია თავის სამუშაო ძალისა, თუ სამეურნეო ნაწარმოებთა. შიმშილი და დავალიანება თავისთავად არ ჰქმნის ინტერესთა სოლიდარობას პროლეტარიატთან, — პირიქით, ამას შეუძლიან მათ შორის ინტერესთა წინააღმდეგობა უფრო გააძლიეროს, როცა გლეხის შიმშილის დასაყუჩებლად და მისი ვალების გადასახდელად საჭიროა სანოვაგის ფასის გადიდება და მუშებისთვის საჭმლის გაძვირება“. მაშასადამე, რამდენადაც გლეხი ნაწარმოებს ჰყიდის, იგი თავის ინტერესით პროლეტარიატის მოწინააღმდეგეა და ამიტომ სოციალ-დემოკრატიას, ვითარცა პროლეტარიატის წარმომადგენელს, მისი მომხრობა არ შეუძლიან.

თავის პსიხოლოგიითაც, — ამბობს ს.-დემოკრატია, — გლეხი, რომელსაც აქვს საწარმოვო იარაღი — მიწა, ეწინააღმდეგება პროლეტარიატს, რომელიც საწარმოვო იარაღებს მოკლებულია. კერძო მესაკუთრეობა გლეხს უძნელებს სოციალიზმის შეგნებას და მისთვის მებრძოლად გამოსვლას. იგი, ვითარცა მწარმოებელი, მჭიდროდ არის დაკავშირებული აწინდელ საეკონომიო წარმოებისა და საზოგადოებაში ნაწარმოებთა განაწილების პირობებთან და ამიტომ იგი უფრო გახლართულია აწინდელ ბურჟუაზიულ წყობილების ბადეში, ვიდრე პროლეტარიატი, რომელსაც საკუთარი წარმოების ინტერესები არ აკავშირებს თანამედროვე საზოგადოების საეკონომიო წყობილებასთან. პროლეტარი ბუნებით სოციალისტია, ხოლო წვრილი მწარმოებელი გლეხი — ბუნებით რეაქციონერი ან, უკეთეს შემთხვევაში, კონსერვატორი, და სხვადასხვაობა მათი ბუნებისა იქიდან წარმოსდგება, რომ მათ სულ სხვადასხვა პირობებში უხდებათ არსებობისთვის ბრძოლა.

ცხადია, სოციალ-დემოკრატიას, რომელიც პროლეტარიატის კლასობრივ ინტერესებს იცავს, სოციალიზმის მომხრეა და თან ასეთი შეხედულება აქვს გლეხობაზე, არ შეუძლიან წვრილ მწარმოებელ გლეხთა მებაირაღტრედაც გამოვიდეს და მათი კლასობრივი მფარველობა იკისროს...

* * *

გლეხი და სოციალიზმი

—

შესაძლებელია თუ არა, რომ წვრილი მესაკუთრე გასოციალისტდეს? აი მთავარი საკითხი, რომელზედაც ერთ-ერთ ჩემს წერილში მე ვუპასუხე: შესაძლებელია-მეთქი. ბ-ნი გ. რ. ამის შესახებ სწერს: მარქსის მოძღვრებით მდგომარეობა იწვევს შეგნებას და არა შეგნება მდგომარეობას და ამიტომ, როცა ბ-ნი გომართელი ამბობს, — შესაძლებელია გლეხმა სოციალიზმი შეიგნოს და გასოციალისტდესო, ამით იგი ეკონომიურ მატერიალიზმს სრულებით უარჰყოფსო. მე აქ არა ვხედავ არავითარ უარყოფას და აი რატომ.

სოციალიზმის შეგნება, ანუ გაგება შეუძლია ყოველ ადამიანს, ყოველ კლასს, — გლეხობა იქნება ის, ბურჟუაზია, თუ პროლეტარიატი, ხოლო სოციალიზმისათვის ბრძოლა ყველას არ შეუძლია; შეგნებისა და შეგნებულისათვის ბრძოლის შორის დიდი განსხვავებაა. შესაძლებელია, რაიმე აზრი, რაიმე მოძღვრება შეიგნო, მაგრამ მის მიერ ნაჩვენები გზა სრულებით უარჰყო. მაგ., ბურჟუაზიამ ათასი შეიგნოს სოციალიზმი, მაინც არ გასოციალისტდება, რადგანაც სოციალიზმი მისთვის სასარგებლო არ არის; პროლეტარიატმა შეიგნო სოციალიზმი და გასოციალისტდა, იმიტომ რომ სოციალიზმი მისთვის სასარგებლოა. გლეხობას შეუძლია თუ არა, რომ გასოციალისტდეს, მიუხედავად იმისა, რომ ის წვრილი მესაკუთრეა? შეუძლია, რადგანაც დღეს ის მატერიალურად არ არის უზრუნველყოფილი, გაყვლეფილია და მისთვის სოციალიზმი გაცილებით უფრო სასარგებლოა, ვიდრე დღევანდელი საზოგადოებრივი წყობილება. თუ რამდენად სასარგებლოა ყველა წვრილ მესაკუთრეთათვის და აგრეთვე გლეხობისათვისაც სოციალიზმი, ეს საკმაოდ გამორკვეულია ერფურტის პროგრამაში, ენგელსის „საგლეხო საკითხში“ და ამიტომ აქ აღარ გამოვუდგები იმის გამეორებას, თუ რას ამბობენ კაუტსკი და ენგელსი. სადაც სარგებლობაა, სარგებლობა მატერიალური, ყოველი კლასიც იქითკენ მიისწრაფის, იქითკენ მიისწრაფის გლეხობაც; და რადგანაც ჩემს თვალში გლეხობის მდგომარეობა ბევრად უკეთესი იქნება სოციალიზმის დროს, ვიდრე დღეს არის, ამიტომ ვამბობდი და ახლაც ვამბობ, რომ შესაძლებელია გლეხობა პროლეტარიატს დაეხმაროს სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

ამგვარ დახმარებას ზნეობრივი და გონებრივი მოტივები კი არ აიძულებენ გლეხობას, როგორც ბ-ნ გ. რ—ს ჰგონია, არამედ მატერიალური სარგებლობა. ბ-ნ გ რ—ს ჰგონია, თითქოს გლეხის ეკონომიური მდგომარეობა არ მოითხოვდეს მის გასოციალისტებას, რადგანაც ის კერძო მესაკუთრეა. ეს სრული შეცდომაა. გლეხს კერძო საკუთრება მიტომ კი არ უყვარს, რომ ის კერძო საკუთრებაა, არამედ იმიტომ, რომ მთელი მისი ცხოვრება ამ კერძო საკუთრებაზე არის დამყარებული. შეაგნებინეთ მას, დააჯერეთ ის, რომ სოციალიზმის საფუძველზე მისი ცხოვრება უფრო უზრუნველყოფილი იქნება, დაანახვეთ მას, რომ მისი კეთილდღეობისათვის სოციალიზმი უფრო სასარგებლოა, ვიდრე დღევანდელი ურთიერთობა და ის დაადგება სოციალიზმის გზას, რადგანაც შეუძლებელია, მთელმა კლასმა უარჰყოს ის, რაც მას მატერიალურ სარგებლობას აძლევს. ბ-ნი გ. რ. ყველა მესაკუთრეს ერთ ნიადაგზე აყენებს, ყველა მესაკუთრეს ერთსა და იმავე პსიხოლოგიას აჩემებს; ეს მე შეცდომად მიმაჩნია. გლეხიც მესაკუთრეა, მსხვილი ბურჟუაც, მაგრამ მათ მდგომარეობას შორის დიდი განსხვავებაა, დიდი განსხვავებაა ამიტომ მათ პსიხოლოგიას შორისაც. ის, რაც შეიძლება ითქვას მესაკუთრე-ბურჟუაზე, არ შეიძლება ითქვას მესაკუთრე-გლეხზე და, თუ მესაკუთრე—ბურჟუა ვერ გასოციალისტდება, იგივე არ ითქმის მესაკუთრე-გლეხზე, არ ითქმის, რადგანაც მნიშვნელობა აქ ცალიერ სახელს კი არა აქვს კერძო საკუთრებისას, არამედ ამ სახელის შინაარსს, ე. ი. იმას, თუ რა სარგებლობას აძლევს გლეხს, ან ბურჟუას კერძო საკუთრება და რას აძლევს მათ სოციალიზმი.

გლეხსა და პროლეტარს შორის ის განსხვავებაა, რომ პირველს დღეს გააჩნია წარმოების იარაღი — მიწა, მაგრამ ეს მიწა იმდენად პატარაა, რომ გლეხი იძულებულია, სხვას მიჰყიდოს თავისი ფიზიკური ძალა ამა თუ იმ სახით და ამგვარად ჩავარდეს ექსპლოატაციის ბრჭყალებში. აი, აქ არის საერთო ხიდი გლეხსა და პროლეტარიატს შორის. ჩამონაჭრების პროგრამა მაშინ იქნებოდა ულოღიკობა და უპრინციპობა, რომ მე შესაძლებლად მიმაჩნდეს გლეხობის სრული უზრუნველყოფა და ექსპლოატაციის ბრჭყალებიდან დახსნა ამ პროგრამის განხორციელებით; მე ეს არსად არ მითქვამს, — მე მხოლოდ ამ პროგრამით ვცდილობ გლეხის მგომარეობის რაოდენიმედ გაუმჯობესებას. თუ კი პროლეტარიატსა და გლეხობას ჰქონიათ ერთმანერთში მსგავსება და საერთო ხიდი თავისის აწმყო მდგომარეობით, პროლეტარიატის მდგომარეობა კი მოითხოვს სოციალიზმს, ცხადია, გლეხობის მდგომარეობაც, გლეხობის მატერიალური ინტერესიც — და არა ზნეობრივი, ან რაიმე გონებრივი მოტივი — მოითხოვს სოციალიზმს.

მაშ, რატომ პირდაპირ სოციალიზმს არ ვუთითებთ მას, როგორც ამას „ცნობის ფურცელი“ სჩადის? იმიტომ, რომ დღეს გლეხობას არა აქვს შეგნებული, რომ სოციალიზმი მისთვის, მისი მდგომარეობისათვის ხელსაყრელი და სასარგებლოა. ამგვარ შეგნებაში პროლეტარიატი გაცილებით წინ უსწრებს გლეხობას, რადგანაც პირველი სრულებით მოკლებულია წარმოების იარაღს, გლეხობას კი თვალებს უხვევს, გონებას უბნელებს ის ერთი კვალი მიწა, რომელსაც ის ჩაბღაუჭებია და რომელიც ნახევრადაც ვერ აკმაყოფილებს მის საჭიროებასა და მოთხოვნილებას. გაფანტეთ გლეხის გონებაში ეს სიბნელე, მოაშორეთ იმის თვალებს ეს ბურუსი, ახადეთ იმის კერძო საკუთრებას მაცდური პირბადე, დაანახვეთ მას, რა უფრო სასარგებლო და საჭიროა მისთვის, და მაშინ, მერწმუნეთ, ის სოციალიზმს მოითხოვს, სოციალიზმისათვის იბრძოლებს პროლეტარიატთან ერთად, მიუხედავად იმისა, — ექნება მას კიდევ ერთი კვალი საკუთარი მიწა, თუ არა.

ი. გომართელი.

პრესსის დღევანდელი მდგომარეობა

—

მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა სახელმწიფო სათათბიროს შესახები დებულება, აშკარად გამოჩნდა, რომ მთავრობა საჭიროდ სცნობს ხალხის მონაწილეობას სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში. თუ აქამდის ხალხი მარტო ქვეშევრდომთა ჯგუფს შეადგენდა, დღეის იქით მასში იცნეს ცოტაოდენი მოქალაქობრივი უფლება და, თუ აქამდის ის მარტო მოვალეობის მორჩილი და აღმასრულებელი იყო, ამის შემდეგ მას ამ მოვალეობის გაწესრიგებაც მოეკითხება.

ხალხი იწყებს აშკარა პოლიტიკურ ცხოვრებას. ხოლო პირობები, რომელშიაც ხალხი პოლიტიკურ ასპარეზზე გამოდის, მეტად სამძიმოა. მთელი რუსეთის იმპერია დღეს ისეთ მდგომარეობაშია, რომელიც მას თავის დღეში არ გამოუვლია. არ მოიპოვება არც ერთი კუთხე ამ სახელმწიფოში, სადაც ცხოვრების პირობები არ გამწვავებულიყოს. არ მოიპოვება სახელმწიფო გამგებლობის არც ერთი დარგი, რომელსაც რეორგანიზაცია არ ესაჭიროებოდეს. ხალხი ყო-

ველგან გაჭირვებულია, ყველგან ეკონომიურ დაქვეითებას თან ახლავს საზოგადოებრივი მოუწყობლობა.

ასეთ დროს განსაკუთრებულის სიმწვავით გრძნობს ადამიანი განკერძოებულ პირობების შეუძლებლობას; განსაკუთრებით საჭირო ხდება ურთიერთი დაახლოვება, შეკავშირება, საერთო ინტერესების მქონელთა შეერთება, რომ შეერთებულის ძალით გაუმკლავდნენ ცხოვრების გაჭირებას, შეიმუშაონ ურთიერთობის ახალი ფორმები, გამოამჟღავნონ მოქალაქობრივ ცხოვრების სფერაში მთელი თავისი შემოქმედებითი ძალა.

ბევრ ადგილს, როგორც ჩვენში, მაგალითად, საერთო მოუწყობლობას ახლავს ადგილობრივი საქმეების აწეწილ-დაწეწილობა. ჩვენში განსაკუთრებით საოცრად გამწვავდა ურთიერთი დამოკიდებულება ეკონომიურ ცხოვრებაში. კანონმდებლობის ცალ-მხრივობამ, მშრომელ ხალხის ინტერესების ხანგრძლივმა მივიწყებამ ქვეყანა განსაცდელში ჩააგდო. განსაკუთრებით სოფლის ხალხის გაღატაკება და უმწეობა უმაღლეს წერტილამდე მივიდა. მოთმინების ფიალა აივსო, გაჭირება და დღევანდელი ცხოვრების აუტანელობა სავსებით გამოაშკარავდა..

ასეთ დროის ხალხს ესაჭიროება გაორკეცებული შემოქმედებითი მუშაობა. ძველის დარღვევას კვალ-და-კვალ უნდა მოსდევდეს ახალის შექმნა, ძველებურ სუსტ მოქმედებას—გაორკეცებული შრომა ყოველ სფერაში. ხოლო ეს შრომა უნდა იყოს არა ერთეულ პიროვნებათა მოქმედება, არამედ კოლექტიური. მხოლოდ შეერთებულ ძალას შეუძლია საერთო გაჭირვებასთან გამკლავება, საერთო უმწეობისაგან თავის დაღწევა.

ცხადია, ყველა იმ საშუალებათ, რომელნიც გაერთიანებას ხელს უწყობენ, რომელნიც ცხოვრების სიდუხჭირის გამომჟღავნებას შესაძლოდ ხდიან, დღეს უნდა მიეცეს განსაკუთრებული მნიშვნელობა.

ასეთ საშუალებათა შორის არა უკანასკნელი ადგილი ეკუთვნის პრესსას. პრესსის მნიშვნელობა ყოველ კულტურულ ქვეყანაში დღითი დღე იზრდება. ის ცხოვრების აუცილებელ საჭიროებად გახდა. მაგრამ პრესსასაც აქვს თავისი არსებობის პირობები. მისთვისაც საჭიროა ისეთი პირობები, რომელშიაც ის მთელ თავის ძალა'ს გამოამჟღავნებს. საუბედუროდ დღესაც ჯერ პრესსამ ვერ მოიპოვა ჩვენში მოქალაქობრივი უფლება. დღესაც პრესსა მოგვაგონებს იმ მცენარეს, რომელიც ხანგრძლივ ავდრების გამო, მზის შუქისაგან დაფარული, ჩამქრალა და ჩაყვითლებულა. მაშინ, როდესაც საზოგადოებრივი ცხოვრების გულში მზადდება დიადი მისწრაფებანი, მაშინ, როდესაც ხალხი თანდათან ძალას იკრებს და ახალ ცხოვრებისაკენ გზას იკაფავს, პრესსა იძულებულია სდუმდეს, მას ვერ მოუხერხებია მკითხველს გადაუშალოს ცხოვრების სრული სურათი, გაარჩიოს ცხოვრების სიყალბე სიკეთისაგან, აღაფრთოვანოს მკითხველი საუკეთესო მერმისისადმი მისწრაფებით. ცხადია, პრესსა ცხოვრებას ჩამორჩა. და მერე როდის? ისეთ დროს, როცა აზრთა გაცვლა-გამოცვლა ყველაზე უფრო საჭიროა.

დიაღ, შეუძლებელია ასეთ დროს აზრის შებოჭვა, შეუძლებელია ასეთ დროს ადამიანის დამუნჯება. დღეს ყველას ვალია აზრს მოუპოვოს თავისუფლება. ეს აუცილებელი პირობაა მოქალაქობრივ არსებობისათვის.

R.

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

30 აგვისტო.

პეტერბურგი, 28 აგვისტო. განსაკუთრებული რჩევა გრაფ სოლსკის თავმჯდომარეობით კერძო კრებების თავისუფლების საკითხის განხილვას შეუდგა.

გოძიადანი, 29 აგვისტო. 28 აგვისტოს, ნაშუადღევის პირველ საათზე, რუსებთან თეთრის ბაირაღით იაპონიის პარლამენტიორი მივიდა და მთავარსარდალს მარშალ ოიამას წერილი გადასცა. ამ წერილში ოიამა ლინევიჩს ომის გათავებას ულოცავს და სთხოვს, იმ საკითხების განსახილველად, რომლებიც დროებით ზავს შეეხება, რუსეთის რწმუნებული დანიშნოს. თავის მხრით ოიამამ რწმუნებულად გენერალი ფუკუშიმა დანიშნა და რწმუნებულთა შესახვედრ ადგილად სადგური შახეძა დაასახელა.

ტოკიო, 28 აგვისტო. ქალაქში მშვიდობიანობაა.

პარიზი, 27 აგვისტო. „ჟურნალ“-ის ტოკიოელი კორესპონდენტი დეპეშით იუწყება, 27 აგვისტოს მშვიდობიანობა აღადგინეს, თუმცა პოლიციის რამდენიმე სადგომი კიდევ გაანადგურეს და რუსების ეკლესიას დაეცნენ. ხალხი კაბინეტის გადაყენებას თხოულობსო.

ტოკიო, 27 აგვისტო. არეულობა აქ ბირჟის სპეკულიანტებმა, ყვითლმა ჟურნალისტებმა და საერთოდ შოვინისტებმა მოახდინეს. პოლიტიკურ პარტიებს არეულობაში მონაწილეობა არ მიუღიათ. ეკლესიების დანგრევამ ხალხსა და პოლიციის შუა შეტაკება გამოიწვია. მთავრობამ ენერგიული ზომები მიიღო. ოსაკში ხვალისთვის დანიშნული კრება პოლიციამ აკრძალა. დღემდის შეჩერეს გამოცემა ექვსის გაზეთისა, რომლებიც ხალხს არეულობაზე აქეზებდნენ.

ტოკიო, 27 აგვისტო. იაპონიის პრესსა ემუდარება მიკადოს, ხელ-შეკრულობის რატიფიკაცია არ მოახდინოს, რადგანაც ამ გარემოებამ, შეიძლება, ჯარისა და ფლოტის არეულობა მოახდინოსო. არეულობის დროს, არც ერთი უცხოელი არ მოუკლავთ და არ დაუჭრიათ.

ბუხარესტი, 27 აგვისტო. საბერძნეთის ელჩი წავიდა. ფიქრობენ, რომ საბერძნეთსა და რუმინიის შუა დიპლომატიური ურთიერთობა შესწყდებაო.

პეტერბურგი. უმაღლესი ბრძანება, გამოცემული უმართებულეს სენატის სახელზედ: „ვზრუნავთ რა ყოველთვის ჩვენს უმაღლეს სასწავლებლების კეთილდღეობაზე, საჭიროდ დავინახეთ, სახალხო განათლების სამინისტროს უმაღლეს სასწავლებლების ახალ წესდების გამოქვეყნებამდე, ამ სასწავლებლების მართვა-გამგეობის დროებითი წესები შემოგვეღო: 1) უნივერსიტეტებში რჩევას და ფაკულტეტებს ნება ეძლევათ ამორჩევისა: პირველს რექტორისა და ამის თანაშემწესი, თუ კანონით ასეთი თანამდებობა შემოღებულია სასწავლებელში, მეორეს არჩევანები ფაკულტეტების დეკანებისა და მდივნებისა. რექტორი და ამისი თანაშემწე ამორჩეულ უნდა იქმნან ორდინარულ პროფესორთაგან, დეკანები და მდივნები—ყველა პროფესორებისაგან. რჩევისა და ფაკულტეტების-მიერ ამორჩეული პირები უსათუოდ წარდგენილ უნდა იქმნენ დასამტკიცებლად. **შენიშვნა**: ზემოთ დასახელებული პირების ამორჩევა წელსვე უნდა მოხდეს, სწავლის დაწყებამდე—2) ზრუნვა სწავლის წესიერად მიმდინარეობის შესახებ დაევალება რჩევას. ამისათვის რჩევას შეუძლიან ან თვითონ მიმართოს საჭირო ზომებს, ან განსაკუთრებული კომისია ამოირჩიოს; იმ შემთხვევაში, თუ რჩევის მიერ მიღებულმა ზომებმა გავლენა ვერ იქონია და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის წესიერი მიმდინარეობა შესწყდა, რჩევას ნება ეძლევა, იშუამდგომლოს სწავლის შეწყვეტის შესახებ ამა თუ იმ ვადით. ინსპექციის უფროსობა ჩაბარდება რექტორს, რომელსაც, უნივერსიტეტში წესიერების აღსადგენად, შეუძლიან მიჰმართოს რჩევას, ან რჩევის მიერ ამორჩეულ კომისიას; სტუდენტთა საქმეების გარჩევა პროფესორთა დისციპლინარულ სასამართლოს მიენდობა; 3) ეს დროებითი წესები ყველა უმაღლეს სასწავლებლებს შეეხება. ნამდვილზე ხელმწიფის საკუთარის ხელით არის წარწერილი: „ნიკოლოოზი“. პეტერგოფი, 1905 წლის 27 აგვისტო.

კიევი, 27 აგვისტო. სახელმწიფო გამოცდები უნივერსიტეტში პირველ ენკენისთვეში დაიწყება.

ასხაბადი, 29 აგვისტო. 26 აგვისტოს მოხდა სომხებისა და თათრების კრება და დაადგინეს, შეტაკების თავიდან ასაცილებლად ყოველ-გვარი ღონისძიება იხმარონ.

ტავასტუზი, 29 აგვისტო. გუშინ საღამოთი, როდესაც გუბერნატორი პაპკოვი პოლიცმეისტერის თანხლებით სამსახურიდან სახლში ბრუნდებოდა, ეტლის ქვეშ ვიღაცამ ყუმბარა შეაგორა, მაგრამ ყუმბარა არ გასკდა, და გუბერნატორი პოლიცმეისტერით უვნებელი გადარჩა.

ტოკიო, 29 აგვისტო. შინაგან საქმეთა მინისტრი სამსახურს თავს ანებებს. ფიქრობენ, რომ მინისტრი ამ გადაწყვეტილებაზე ბოლოს უარს იტყვის,—ოსაკში დღეს დიდი მიტინგი მოხდა.

ლონდონი, 26 აგვისტო. ბაქოდან დეპეშით იუწყებიან, რომ ინგლისის ფირმებმა ერთი მილიონი იზარალესო. გარეშე საქმეთა მინისტრმა ამხანაგმა კიდევ გაუგზავნა დეპეშა პეტერბურგში მყოფ ელჩს და წინადადება მისცა, ხელახლად მოეთხოვა რუსეთის მთავრობისთვის, რომ ინგლისელთა ცხოვრებისა და ქონების დასაცველად ენერგიული ზომები მიეღოთ.

ნიუ-იორკი, 27 აგვისტო. მმართველ წრეებში ამბობენ, ტაფტის წინააღმდეგ დემონსტრაციები მოხდებაო.

რეფორმები რუსეთში

პეტერბურგის გრადონაჩალნიკმა პეტერბურგელ ნოქრებისა და ბუხჰალტერების ბიუროს **კრებების გამართვის ნებართვა მისცა**, იმ პირობით კი, რომ კრებას ასზე მეტი კაცი არ დაესწროს. კრება ბოქაულის ნებართვით უნდა მოხდეს და პასუხის მგებელი ბიუროს ერთ-ერთი წევრი იყოს (რ. ი.).

◆ დანამდვილებით ამბობენ, რომ **პოლიციის მინისტრს ახალ და ფართო უფლებებს მისცემენო** (რ.).

◆ პოლონეთში **ბინის ცენზი** სულ 11,333 კაცს ეძლევა. აქედან ვარშავის გუბერნიაზე მოდის 9,899, ლომჟისა—39, პეტროკოვისა—937, რადომისა—57, სედლეცისა—62, კალიშისა—120, კელეცისა—48, პლოცკისა—100, სუვალკისა—71 (ს. ო.)

◆ ბულიგინის კომისიის ანგარიშით, პეტერბურგში **ბინის ცენზი** 5700 კაცს უნდა ჰქონოდა, ნამდვილად კი აღმოჩნდა, რომ ცენზი ეძლევა მხოლოდ 3400 კაცს (ს. ო.).

◆ უმაღლეს წრეებში უკვე გადასწყდა **საკითხი საარჩევნო აგიტაციებისა**. კრებების გამართვა შეიძლება ამომრჩეველთა სიების გამოცხადების შემდეგ. კრებას დაესწრება მხოლოდ ამომრჩეველნი და პრესსის წარმომადგენელნი.

◆ ფინანსთა მინისტრის კოკოვცევის პროექტით, მომავალ სახელმწიფო სათათბიროში ვერც ერთი მინისტრი ვერ შეიტანს ამა თუ იმ კანონ-პროექტს იმ დრომდის, სანამ მინისტრთა კომიტეტის აზრს არ გაიგებს ამ კანონ პროექტის შესახებ. გარდა ამისა, მინისტრთა კომიტეტის დაუკითხავად ხელმწიფე იმპერატორს არავინ არ უნდა წარუდგინოს. მოხსენება, ე. ი. ყოველი მოხსენება ხელმწიფეს მინისტრთა კომიტეტმა უნდა წარუდგინოს! მინისტრთა კომიტეტთან ერთად არსდება ცალკე კომისია, რომელმაც ესა თუ ის კანონ-პროექტი დაწვრილებით უნდა შეიმუშაოს. ამ რიგად ყოველმა კანონ-პროექტმა, სანამ დამტკიცდებოდეს, **შემდეგი გზა უნდა გაიაროს**: 1) მინისტრი წარუდგენს კანონ-პროექტს, 2) მინისტრთა კომიტეტის გარდაწყვეტილება ხელმწიფეს უნდა წარედგინოს; 3) კანონ-პროექტი გადაეცემა ცალკე კომისიას, რომელმაც დაწვრილებით უნდა შეიმუშაოს იგი; 4) მინისტრთა კომიტეტმა სულ ხელმეორედ უნდა განიხილოს ეს პროექტი და ხელმწიფეს ნებართვა უნდა სთხოვოს მის სათათბიროში შეტანისა; 5) პროექტი სასათბიროში შეაქვთ და 6) აქედან სახელმწიფო საბჭოს გადაეცემა (რ. ვ.).

◆ ამ დღეებში პეტერბურგში მოხდება **თავად-აზნაურთა წინამძღოლების კრება**, რომელსაც პრესსის წარმომადგენელნი არ დაესწრებიან. კრებამ უნდა განიხილოს სახელმწიფო სათათბიროში თავად-აზნაურობას მხრივ დეპუტაციების არჩევის საკითხი (ს. ო.)

ახალი ამბავი

◆ ქალაქის საავადმყოფოში 29 **აგვისტოს, დახოცილთა** 26 **გვამი** იყო გამოფენილი მშობელთა და ნათესავთა საცნობლად.

◆ **მიხეილის საავადმყოფოში** 29 აგვისტოს 56 დაჭრილი მიიყვანეს. ამათგან სამი უკვე გარდაიცვალა, 13 კი სამხედრო საავადმყოფოში გაჰგზავნეს. პოლიციამ სულ 70 დაჭრილი შეაგროვა; ბერი დაჭრილი პოლიციას გაურბოდა და დახმარებას კერძო აფთიაქებსა და კერძო ექიმებსა სთხოვდა.

გუშინწინ, ნაშუადღევის პირველ საათზე, **ქალაქის საბჭოში მოხდა კრება 30 ხმოსნისა**. ქალაქის საბჭოში მომხდარ უბედურობის გამო, ლაპარაკი აღიძრა: დაანებონ, თუ არა ხმოსნებმა თავი თანამდებობას? ერთი ნაწილი ხმოსნებისა იმ აზრისა იყო, რომ სამსახურს თავი უნდა დაანებონო, მეორე კი უარს ამბობდა. დიდი კამათის შემდეგ, დაადგინეს, საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად, მოიწვიონ ის ხმოსნებიც, რომლებიც კრებას არ დაესწრნენ.

◆ 29 აგვისტოს ქალაქის საბჭოში მომხდარ უბედურების გამო, **ქალაქის მოურავი ხ. ა. ვერმიშევი სამსახურს თავს ანებებს**. ამავე მიზეზით ხმოსნობაზე უარი განაცხადა თ-დმა არღუთინსკი-დოლგორუკოვმა და სხვა ხმოსნებმა.

◆ როგორც გორის მაზრიდან გვატყობინებენ, **სოფ. დირბში მოუკლავთ ადგილობრივი მცხოვრები ესტატე გაბაშვილი**.

◆ ქ. გორში **მოუკლავთ თ-დი ლევან ალექსანდრეს ძე ციციშვილი**.

◆ სოფ. ცხინვალში **ზარბაზნები გაიგზავნა**.

◆ 29 აგვისტოს, ბათუმში **მოუკლავთ ნაფიცი ვექილი კენგერლინსკი**.

◆ გუშინწინ, 30 აგვისტოს, მეშვიდე საპოლიციო უბანში, ფალავანდოვის ქუჩაზე, საღამოს 7 საათზე, **მძიმედ დასჭრეს სედრაკ საქოვი**. დამნაშავე დაიმალა.

◆ გუშინწინ, 30 აგვისტოს, მესამე საპოლიციო უბანში, იარმუკაზე, რევოლვერით მძიმედ დასჭრეს სომხის ეკკლესიების **მამულების მოიჯარადრე გრიგოლ სალინოვი**. ტყვია პირში მოხვდა. დამნაშავე ვერ შეიპყრეს.

◆ როგორც შულავრიდან გვატყობინებენ, 26 აგვისტოს, საღამოს 5 საათზე, სოფ. ახპატასთან ოჰანე სუხიკოვმა **თოფით მოჰკლა თ-დ ბარათაშვილის მეეტლე** და მსუბუქად დასჭრა ტყის მცველი არუთუნ მელკინოვი, როცა სუხიკოვის საქონელს მიერეკებოდნენ.

◆ გუშინ, 31 აგვისტოს, ჩამოვიდა ტფილისის ახალი **გუბერნატორი რაუშ-ფონ ტრაუბენბერგი**.

◆ თიანეთის მაზრის უფროსმა [illegible] ნატორს, რომ საქმე პირიქით ხევსურეთში დასახლებულ ქისტების, რომელთაც ჯარის წინააღმდეგ იარაღი იხმარეს, სასამართლოს გადაეცა.

◆ ამ დღეებში ჭიათურაში გაუძარცვავთ უსახელო საზოგადოების აგენტი ვოტრენი. [illegible] წაურთმევიათ ხუთასი თუმანი და მიმალულან.

◆ სადგურ აჯამეთიდან იუწყებიან: ნაშუადღევის ოთხს საათზე, მატარებელში კონდუქტორმა ისიონ ღლონტმა **მოჰკლა რევიზორი ს-დი ვ. ზ. თუმანოვი**. თუმანოვს კონდუქტორისათვის შეურაცხყოფა მიუყენებია. დამნაშავე შეიპყრეს.

◆ ქართულ დრამატიულ საზოგადოებას კომისიისთვის საპრემიოდ უკვე ჩვიდმეტი პიესა წარუდგენიათ. ამ პიესების განხილვას კომისია ხუთს ენკენისთვიდან შეუდგება.

◆ სტიპენდიების დასანიშნად შემდგარმა განსაკუთრებულმა კომისიამ, 26 აგვისტოს, თავად-აზნაურობის წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელ, თ-დ ჯამბაკურ-ორბელიანის თავმჯდომარეობით, დაადგინა: სტუდენტებს სტიპენდიები ივლისისა და აგვისტოსიც მიეცეთ. (ტ. ღ.)

ქუთაისის ცხოვრება

ქუთაისის ქალთა სამეურნეო საზოგადოების „შრომის“-ს წევრთა კრება.

21 აგვისტოს, ქალაქის გამგეობის დარბაზში მოხდა ხსენებულ საზოგადოების წევრთა მორიგი კრება, რომელსაც საზოგადოება, სამწუხაროდ, ნაკლებად დაესწრო. თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა მღ. მთაიაშვილი.

განხილულ იქმნა საზოგადოების მოქმედების წლიური ანგარიში. როგორც ამ ანგარიშიდანა სჩანს, 190⁴/₅ სამოსწავლო წლის განმავლობაში საზოგადოების სკოლაში სწავლობდა სულ 68 მოწაფე ქალი, რომელთაგან 19 პანსიონერი ყოფილა. მოწაფეები განაწილებული ყოფილან სამს განყოფილებასა და ერთს კლასში. საანგარიშო წლის განმავლობაში სწავლის საქმე, როგორც ყველა სხვა სასწავლებელში, აქაც შეფერხებულა საზოგადო მოძრაობის გამო. საზოგადოების ჰყოლია სულ 10 მასწავლებელი, რომელთაგან ორი იღებდა ჯამაგირად თვეში თხუთმეტ-თხუთმეტ მანათს, ორიც თითო თუმანს (უკანასკნელნი რამდენსამე საგანს სრულიად უფასოდ ასწავლიდნენ), დანარჩენები კი სულ უჯამაგიროდ მასწავლებლობდნენ. საზოგადოების შემოსავალი ყოფილა სულ 2,848 მან. 29 კაპ.; იმავე დროს გასავალი ყოფილა 3,080 მან. 43 კაპ; ასე რომ—ვალად დარჩენია 235 მან. 14 კაპ. ამასთანავე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ საზოგადოებას აქვს ქონება, დაფასებული 600 მანათამდის. საზოგადოებას ჰყავს 100 საპატიო და 1,500 ნამდვილი წევრი. აქვე უნდა მოვიხსენიოთ, რომ საზოგადოების წევრები, სამწუხაროდ, ძლიერ გულგრილობას იჩენენ ისეთ სიმპატიურ საქმისადმი, როგორიცაა ქალთა შორის სამეურნეო სწავლა-განათლების გავრცელება, და [illegible] ნაწილსაც არ შემოაქვს წლიური გადასახადი, რაც ძლიერ აბრკოლებს სკოლის გაუმჯობესების საქმეს. სკოლაში სწავლა გრძელდება ხუთს წელს. საზოგადო განათლების გარდა, ასწავლიან: მებრეშუმეობას, აბრეშუმის თესლის დამზადებას, ქსოვას, ჭრა-კერვას, მზარეულობას, მერძეობას, მებოსტნეობას, მეფუტკრეობას, შინაური ფრინველების მოშენებას და მეყვავილეობას.

საზოგადოების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, გამგეობას მრავალ დაწესებულებისა და კერძო პირისთვის მიუმართავს შუამდგომლობით, სხვათა შორის, მიწათმოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსთვისაც, შესახებ იმისა, რომ ნება მიეცეს საზოგადოებას გახსნას ქუთაისში ამ ჟამად მხოლოდ დაბალი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი 5 წლის კურსით. ეს შუამდგომლობა ჯერ-ჯერობით არა

ფელეტონი

რა არის კულტურა?

—

გერმანულ ერთ-ერთ გაზეთში ეს საკითხი განიხილა ახალგაზდა, მაგრამ თავისებურმა ისტორიკოსმა კურტ ბრეიზიგმა. ბრეიზიგი ცნობილია, როგორც ავტორი ცნობილის თხზულებისა: „ევროპის ხალხთა კულტურის ისტორიისა“.

სიტყვას „კულტურა“ სხვადასხვა გვარად ხსნიან, მაგრამ არის ორნაირი ახსნა, რომელიც აერთებს ამ განმარტებათ და ამ სიტყვის მნიშვნელობას საერთო, ფართო მნიშვნელობას აძლევს.

1) ერთნი ამბობენ „კულტურა“ არისო ცხოვრების განვითარება დანიშნულ წერტილამდე.

მაშასადამე იმ ხალხს, რომელსაც განვითარების ამ წერტილამდე არ მიუღწევია, უკულტუროა.

2) სხვების აზრით კი კულტურა არის გამომხატველი ხალხის ცხოვრებისა, განვითარების რომელ წერტილზედაც უნდა იდგეს იგი.

მაშასადამე ველურ ხალხსაც ჰქონია თავისი კულტურა.

ბრეიზიგი ნათლად არ აღნიშნავს, რომელის მხრით უყურებს ამ სიტყვის მნიშვნელობას. მისი თვალთა ხედვის ისარი გამოურკვეველია, მაგრამ ნათლადა სჩანს, რომ „კულტურა,—მისის აზრით,—ნიშნავს ხალხის თვითგანვითარებას, ხოლო კულტურის ისტორია—ისტორიის ეროვნულ „მე“-სი, ეროვნულ სულისას.

ყოველივე ცხოველმყოფელი მოქმედება ამა თუ იმ ხალხისა ნაყოფია საზოგადოებრივ ნებისა, შედეგია ხალხის მცნება-ჩვეულებათა.

ეს ცხადია. ხოლო, როცა ბრეიზიგიც ამასვე ამბობს, იგი გულისხმობს „განვითარებულ საზოგადოებრივ ნებას“, ხალხის განვითარებულ მცნება-ჩვეულებათ, ანუ უკეთ რომა ვსთქვათ, იგი გულისხმობს „უმაღლეს კულტურას“. განხილვა-განმარტება კულტურისა, როგორც დღეს ჩვენ გვესმის იგი—ახალი მეცნიერებაა. კულტურის განმარტებას პირველად შეუდგნენ მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში საფრანგეთსა, გერმანიასა და ინგლისში, მაგრამ მკვლევარებს ერთი განსაზღვრული აზრი არა ჰქონიათ აჩემებული და ამას გამოსაკვლევად სხვადასხვა გზასა და საშუალებას ხმარობდნენ. ასე იქცეოდნენ მკვლევარნი მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევრამდე და ისეთი დიდებული ისტორიკოსნიც კი, როგორიცაა შლოსერი, ხალხთა პოლიტიკურ ისტორიას ჰყოფდა ამავე ხალხის გონებრივ-მატერიალურ განვითარების ისტორიისაგან.

მეცხრამეტე საუკუნის ნახევარში კი აზრი, შეხედულება ისტორიაზე ძირიანად შეიცვალა და დღეს ვერავინ ვერ იტყვის, რომ ხალხის ცხოვრებას, პოლიტიკური იქმნება იგი საზოგადოებრივი, გონებრივი თუ მატერიალური, მტკიცე კავშირი არა ჰქონდეთ ერთმანეთში და საერთოდ თავმდებნი არ იყვნენ ხალხის წარმატებისა თუ დაქვეითებისა.

თუ გვწამს, რომ კულტურა—თვითგანვითარებაა, მაშინ უნდა მივემხროთ ბრეიზიგს და ვაღიაროთ, რომ ამა თუ იმ ხალხის კულტურის მაჩვენებელია არა მარტო უმთავრესი მოვლენანი ხალხის ცხოვრებისა, არამედ იმავე ხალხის კულტურის მაჩვენებელია ამ ხალხში არსებული გრძნობა სიყვარულისა, ამხანაგობა, ბინის მოწყობა, ტანთსაცმელი და სხვა წვრილმანები, ვინაიდან მარტო ყველა ეს ერთად აღებული მოგვცემს სრულ სურათს ამა თუ იმ ხალხის კულტურულ განვითარებისას.

კულტურის უმთავრესი დანიშნულებაა პროგრესსი, ესე იგი დაუსრულებელი მისწრაფება ხალხისა ცხოვრების გაუმჯობესებისაკენ, რა მხრივაც უნდა აეიღოთ იგი ცხოვრება. ამ მიზნის მისაღწევად კი ხალხის „საზოგადო ნება“ და „საზოგადო შემეცნება“ უნდა იყოს შეგნებული და უნდა თანხმობით მიისწრაფოდეს ცხოვრების ამა თუ იმ დარგის განკარგებისაკენ, ანუ, სხვანაირად რომა ვსთქვათ, ესა თუ ის კულტურული მოძრაობა უნდა იყოს შედეგი უმრავლესობის ძალთა მოკრებისა. ხალხის „მნიშვნელოვანი ნაწილი“ კი არის—ინტელიგენცია. ინტელიგენცია ასვამს თავისებურ ბეჭედს ხალხის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებას, აღორძინებს ლიტერატურასა და ხელოვნებას, იგი ხელს უწყობს ეროვნულ აზრის განვითარებასა. თუმცა ხალხი სხვადასხვა წევრებისაგან შესდგება, მაგრამ ხალხსა აქვს საერთო აზრი, საერთო გულის თქმა და აი, ამ საერთო გულის თქმით ხელმძღვანელობს ამა თუ იმ ხალხის ინტელიგენცია.

ხალხის საერთო აზრი, მისი საერთო გულის თქმა თავისებურ დაღს ასვამს კულტურას და ეს დაღი, ეს თავისებურობა ამა თუ იმ ხალხის კულტურისა მით უფრო სუსტია, რაც ხალხი იგი ემორჩილება, ექვემდებარება მეორე ხალხის ზეგავლენას. ის ხალხი, რომელსაც სხვა ხალხებთანა აქვს დამოკიდებულება და კულტურული ურთიერთობა უფრო მალე ადგება წარმატების გზას, და მისი კულტურაც ჰკარგავს ეროვნულ ელფერს. საზოგადოდ რომა ვსთქვათ, ეროვნული კულტურა არც-კი არსებობს, ხოლო სადაც კულტურაა დამყარებული, იქ გარეშეთა გავლენას დიდი ღვაწლი მიუძღვის: ავიღოთ მაგალითად ასურელებისა, ებრაელებისა, ბერძნებისა და რომაელების კულტურა. არც ერთი მათგანი არ იყო წმინდა ეროვნული, საკუთრივ ამა თუ იმ ხალხის მიერ შექმნილი. მით უმეტეს თანამედროვე ხალხის კულტურა არ შეიძლება იყოს ეროვნული. მაგრამ ერს, ხალხს ერთი თვისება კი აქვს: სხვისგან შენაძენ კულტურას იგი თავისებურად იმუშავებს, თავისებურ, ხალხოსნურ ელფერსა სდებს. იგი უქვემდებარებს ამ კულტურას თავის მოთხოვნილებათ, თავის მისწრაფებათ.

ძნელი სათქმელია, როგორი იყო საქართველოს კულტურა ქრისტეს მოძღვრების გავრცელებამდე, მაგრამ ეს კი ეჭვ გარეშეა, რომ იგი ექვემდებარებოდა სხვა ხალხთა ზეგავლენას და ნამეტნავად კი სპარსელებისას.

ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ კი, საქართველოში ფეხი შემოსდგა ბიზანტიისა და ერთით ასურეთის კულტურამ.

დავით აღმაშენებლამდე. საქართველო უცხო კულტურის გავლენის ქვეშ იყო, ხოლო ამ დროიდან საქართველო წელში გაიმართა, აღორძინდა ეროვნული ცხოვრება, გარეშე გავლენამ იკლო და საქართველოში დამყარდა ეროვნული კულტურა. მართალია „ქართლის ცხოვრება“ ბევრ არაფერს გვეუბნევა საქართველოს კულტურის შესახებ დავით აღმაშენებლიდან დაწყებული თამარ მეფის დრომდე, მაგრამ მაშინდელი ცხოვრების მოვლენები ნათლად გვიჩვენებენ, რომ იმ დროის საქართველოს უნდა მიეღწია ეროვნულ კულტურის უმაღლესს წერტილამდე. მაშინ საქართველო ამაღლებული უნდა ყოფილიყო ზნეობრივად და გონებრივად. სწორედ ეროვნულ კულტურის ბრალია, რომ საქართველომ შემდეგში გაუძლო მონგოლთა შემოსევას, ხოლო უფრო გვიან კი ქართლსა და კახეთში სპარსეთის გავლენის გაბატონებას. მეთვრამეტე საუკუნეში ვახტანგ VI, კათოლიკოსი ანტონი და სხვა მამულიშვილნი სცდილობდნენ კვლავ აეყვავებინათ ძველებური კულტურა და, თუმცა ეს სავსებით ვერ მოახერხეს, მაგრამ ქართველებმა მეცხრამეტე საუკუნემდე მაინც შეინახეს ნაშთი თავისებურის კულტურისა. გატყდა მეცხრამეტე საუკუნეც, საქართველოში დამყარდა რუსეთის ბატონობა, ევროპის გავლენას გზა გაეხსნა.

ამ ახალმა გზამ მიიპყრო ქართველების ყურადღება, ახალმა კულტურამ გადიბირა იგინი. ძველს პირი აბრუნეს და მიენდვნენ მათთვის სრულიად უცნობ ქვეყანას. მართალია არც ძველად ჰქონდათ ქართველებს ტკბილი ცხოვრება, მაგრამ ამ ძველიდან შეიძლებოდა შეენახათ ცოტა რამ და ახალის ცხოვრებისათვის გამოეყენებინათ.

დავიწყოთ მატერიალურ კულტურიდან! ავიღოთ, მაგალითად, ქართული სახლი თავისი აივნებით. რასაკვირველია იგი სავსებით შეესაბამება ადგილობრივ ბუნებას და ჰაერს, და არც ერთი ევროპიელი შენობა მის ადგილს ვერ დაიკავებს, მაგრამ განა არ შეიძლებოდა თავისებურის, ქართველურის ხუროთმოძღვრებით აეგოთ იგი?

ერთი ბერლინელი ხუროთმოძღვარი და პროფესორი, რომელიც წარსულ წლებში ტფილისს ორჯერ ეწვია, გაკვირვებული დარჩა, რომ ტფილისში ქართველური სახლები ვერ ნახა.

„კოხტა და ლამაზია ეს სახლიო“ სთქვა მან ერთხელ ერთ-ერთის სახლის შესახებ,—მაგრამ თავისებური, ადგილობრივი სტილი კი არა აქვსო“. იმის აზრით ქართული სტილის განვითარება უმაღლესს წერტილამდე შეიძლება.

სპარსეთი ხომ დიდად ჩამორჩენილი ქვეყანაა, მაგრამ იქაც კი იცავენ ძველებურ სტილს და მათი შენობები ლამაზი სანახავია, თავისებურ გემოვნების მატარებელია, ამტკიცებენ სპარსეთის მცოდნე ბურგში, ვარრე და სხვანი. ესევე მოგზაურნი ჰმოწმობენ, რომ სპარსეთში დიდად განვითარებულია მებოსტნეობა და ყვავილთა გაშენება, მაშინ, როდესაც საქართველოში, ამ კურთხეულ მხარეში, ამ დარგს მეურნეობისას თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევენ.

სახლებზე უარესად მოუწყობელნი ქართველებს სამეურნეო—საოჯახო შენობები აქვთ. და ამ მხრით ვინც კი დაჰკვირვებია საქართველოს მებატონეთა კარმიდამოს, საბძელ-ბოსელ-კალოებს, იგი დამეთანხმება, რომ ქართველი მემამულე თავისს ცხოვრების გაუმჯობესობასა ნაკლებად ცდილობს, ან ბრეიზიგის სიტყვებით რომ ვსთქვათ, „ნაკლებ თვითგანვითარებულია“ ასეთივე გულ-გრილობა გამოსჩანს ქართველების მატერიალურ ცხოვრების სხვა მხარეებშიაც. ჩვენ არაოდეს არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ მატერიალური ცხოვრების თანამედროვედ მოწყობა, მატერიალური კეთილ-დღეობა უმთავრესი თავმდებია უმაღლესის—გონებრივ კულტურის განვითარებისათვის, ვინაიდგან ამ ორ მხარეს კულტურისას ისეთი ურთიერთობა აქვთ, როგორც სხეულსა და სულს.

ხალხის გონებრივ მოქმედების მაჩვენებელი უმთავრესად ლიტერატურაა. ლიტერატურა როგორც სიტყვა-კაზმული, არამედ მეცნიერულიც. რასაკვირ-

დამაყოფილებული, რადგან სამინისტროს ქუთაისის გუბერნატორისაგან მოუთხოვნია ცნობები საზოგადოების მდგომარეობის შესახებ და უკანასკნელსაც სასურველი პასუხი გაუგზავნია. მეორე შუამდგომლობა აღუძრავთ მიწადმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის კავკასიის რწმუნებულის წინაშე შესახებ იმისა, რომ შემწეობა აღმოეჩინათ საზოგადოებისათვის მასწავლებლების დასაქირავებლად და სამეურნეო იარაღის შესაძენად, მაგრამ რწმუნებულს ეს შუამდგომლობა უყურადღებოდ დაუტოვებია, რადგან ამჟამად სხვადასხვა საზოგადოებათ შემწეობა იშვიათად ენიშნებათ. მესამე შუამდგომლობით მიუმართავთ ქალთა შორის სამეურნეო ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოების საბჭოსათვის, რომელიც დაჰპირდა ერთდროულ დახმარებას,—500 მანეთს, როდესაც სკოლის გახსნის ნებართვას მიიღებთ სამინისტროსაგან. შუამდგომლობით მიუმართავთ აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების კავკასიის განყოფილებისათვის, რომელსაც ჯერჯერობით გამოუგზავნია სხვადასხვა საბოსტნე თესლეულობა, ნერგები და 25 ცალი წიგნი მეურნეობის შესახებ, შემდეგისათვის კი ფულით დახმარებასაც შეჰპირებია. რეალურ სასწავლებლის გამგეობამ უფასოდ დაუთმო საზოგადოებას 10 სამოსწავლო სტოლი, ერთი კათედრა და ორი საკლასო დაფა. ტფილისის საბრეშუმო სადგურის წინაშე აღძრული შუამდგომლობა შემწეობის აღმოჩენის შესახებ ჯერჯერობით უყურადღებოდაა დატოვებული; ჯერ პასუხი არ მიუღიათ აგრეთვე ზოგიერთ შეძლებულ პირთაგან, რომელთა წინაშე აღძრულა შუამდგომლობა (როგორც, მაგალითად, ცნობილ ქველმოქმედ ძმათა ზუბალაშვილებისაგან, ძმათა ანანოვებისაგან და სხ.). საზოგადოებას ქუთათურ გაზეთშიაც შეუკრებია შემოწირულება, ფულად თუ ნივთებით 177 მანათამდის.

რადგან საზოგადოების მოქმედების ანგარიში სარევიზიო კომისიის მიერ არ იყო განხილული, კრებამ შეუძლებლად სცნო მისი დამტკიცება; ამიტომ ძველ კომისიის ნაცვლად, რომელსაც სრული გულგრილობა და დაუდევრობა გამოუჩენია, ახალი კომისია ამოირჩია და საზოგადოების საქმეების განხილვა დაავალა. ერთხმად არჩეულ იქმნენ: ქ-ნნი ო. ლ. ქორქაშვილისა და ზ. კ. ჩიკვაიძის ასულნი; გამგეობის წევრების კანდიდატებად—ქ-ნი მ. ლ. ქორქაშვილის ასული და პ. თვალჭრელიძე. საზოგადოების საპატიო თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ქუთაისის გუბერნატორი ბ-ნი სტაროსელსკი.

კრებამ მადლობა გამოუცხადა ქ-ნთ ნ. პ. ქიქოძისას, ც. ნ. ერისთავისას, მ. ი. მათიკაშვილისას, ფ. უ. თავდგირიძის ასულს, ლ. გ. გოგობაძის ასულს, ბ-ნთ ი. რ. მაისურაძეს, ნ. ს. მკურნალს და სხ., რომელნიც უსასყიდლოდ ასწავლიდნენ მოწაფე ქალებს.

დასასრულ, კრებამ საზოგადოების გამგეობას დაავალა შემდეგისათვის წარმოუდგინოს მას სარევიზიო კომისის-მიერ განხილული ანგარიში და მომავალი წლის შემოსავალ გასავლის საგარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა.

ისარა.

ხანდახან

ცხოვრება დუღს.—კიდევ ცენზურა. ძველი ისტორია.—„მონოპოლისტები“.

ცხოვრება დუღს! დუღს ძალზე! იგი საოცარის ტემპით, ბუმბერაზის ნაბიჯით მიექანება წინ და თავის არწივისებურ კლანჭებით მიერეკება ყველას, განურჩევლად მისი სიზანტისა თუ მსწრაფლ-მორბედობისა. მის აკვარჩხალებულ მორევიდან წამოსროლილი შხეფები წვდება ჩვენის ქვეყნის ყოველ კუთხეს, მისი ხმა ელექტრონის ნაკადულივით ელვის სისწრაფით უვლის ჩვენს ხალხს, აფხიზლებს მას და ფეხზე აყენებს. იგი სწვდა გლეხის დაღვრემილ ოჯახს და ნიგვზის ჩრდილში მგორავ განებივრებულ თავადსაც, ჩასუქებულ-ჩაკუჩატებულ მემამულეს და გალაღებულ ბიუროკრატს... ყველა შეშფოთდა, ყველა ამოძრავდა, ყველა გამოფხიზლდა, თითქო ღრმა ძილში მყოფთ ცივი წყალი გადაასხესო...

ცხოვრება დუღს... მისმა დუღილმა ბევრს მოუთუთქა გული, ბევრს აჰხადა ფარდა, ბევრი წყლული და იარა აღმოაჩინა ადამიანთა შორის, ხოლო უმრავლესობას სალბუნად მოევლინა და უკეთესი ცხოვრების იმედები მტკიცედ ჩაუსახა გულში...

ცხოვრება დუღს... მისი მგორავი ზვირთები და აქაფებული ტალღები იწვევს ყველა საზოგადოებრივ ძალებს, ერეკება მათ ბრძოლის ველისკენ ბიუროკრატიულ კედლების შესამუსრავად, აქ ყველა ხმას იღებს, ყველა ბობოქრობს—სუსტი და ძლიერი, მჩაგვრელი და ჩაგრული, ლაჩარი და გულოვანი, უსუსური და ვაჟკაცი, მოხუცი და ახალგაზრდა. აწმყო ყველას აუტანელ მძიმე ლოდად აწევს, ყველა ერთხმად გაიძახის: „ასე ცხოვრება არ შეიძლებაო“, ყველას მომავლისკენ მიუპყრია თვალები და იქ ცდილობს თავის ბედის გამოცნობას. ყველას უნდა მომავალი თავის სასარგებლოდ გადასწყვიტოს, მეტი წილი დაიდვას... ყველა წინდაწინ ემზადება მომავალ ბატონობისათვის. აქ არი გაჩაღებული ბრძოლა. ბრძოლა უუფლებობისა უფლებიანობასთან, სამართლიანობისა უსამართლობასთან, ჭეშმარიტებისა უკუღმართობასთან. ძლევა-მოსილება ერთის იწვევს ძალთა გათანასწორებას და უფლების აღდგენას მეორისას. ამ აზრით ყველა იარაღს ისხამს: ზოგი თავის დღევანდელ პოზიციების შესანარჩუნებლად, ხოლო დიდი უმრავლესობა იმავე პოზიციების დასაჭერად და სამართლიანობის პრინციპზე ერთმანეთ შორის გასანაწილებლად. ყველა ფაცაფუცშია, ყველა ემზადება სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლისათვის, ყოფნა არ ყოფნის კითხვა დასმულია და იგი გადაწყვეტას თხოულობს; ამ კითხვის გადაწყვეტა ისტორიამ აწმყოს არგუნა. აწმყო, ეს ამისთანა დიდებული სანატრელი დრო საუკუნოებით იბადება. ბედნიერია ის ხალხი, ის ერი, რომელსაც ამისთანა დრო ეღირსება, მაგრამ უბედურზე უბედურია და სამუდამოდ უბედური დარჩება ის, ვინც ასეთ დროს ალღოს ვერ აუღებს და მას თავის სასარგებლოდ ვერ გამოიყენებს!.. მომავლის წინაშე სასტიკად პასუხის მგებელია ის, ვინც ასეთ დროს გულ-ხელდაკრეფილი ზის და შორიდან უცქერის ცხოვრების დუღილს იმ სამარცხვინო მოსაზრებით, რომ თუ რამე გაკეთდა, მეც მზა-მზარეულზე გამოვალ წილის მისაღებადაო. სირცხვილი ასეთ პირებს! გაუმარჯოს უნარიანებს და ხალხის სასარგებლოდ საქმიანობას!..

⁂

მარა საქმიანობაცაა და საქმიანობაც! ბიუროკრატები „საქმიანობენ“, თავისებურად რასაკვირველია, და ამბობენ ხალხის საკეთილდღეოდ ვზრუნავთო.—დღევანდელი დრო ჩვენს ცხოვრებაში, სხვათაშორის, იმითაა შესანიშნავი, რომ საზოგადო ასპარეზზე გამოდიან სხვადასხვა მიმართულებისა და ზნეობრივ-გონებრივ ავლა-დიდების მქონე ძალები. ესენი ყველანი ხალხის ქომაგად აღიარებენ თავს.—ცხოვრება ყველას აინტერესებს, ამოძრავებს და იწვევს სამოქმედოდ, მიუხედავად იმისა, შესწევს მას ამისთვის ძალ-ღონე თუ არა. ხდება აზრთა ჩამოყალიბება, მიმართულებათა გამორკვევა. არის აზრთა შეხლა-შეჯახება, რომელიც ქმნის პროგრესს, არკვევს სამართლის გზას და რომელიც, მაშასადამე, აუცილებელია ყოველ საზოგადოებაში, თუ კი მას სასიცოცხლო ნიშან-წყალი ეტყობა.

მარა დღევანდელი დრო რამდენადაც მოძრავი და სიცოცხლის მატარებელია, იმდენადვე საფათერაკოა და ფთხილად მოსაპყრობი. ჩვენ ვხედავთ საზოგადო ასპარეზზე საკმაოდ მოუმზადებელ პირებს და ასე ამუჩად აგდება დღევანდელ ისტორიულ დროისა მწარე ნაყოფს გამოიღებს... აქ არას ვიტყვით იმ გულწრფელ და სასურველად შეგნებულ ძალებზე, რომელთა მოღვაწეობა ჩვენის ხალხის საკეთილ-დღეოდ სწორედ რომ მოციქულებრივია. მარა აქ იჩინა თავი ერთმა გარემოებამ, რომელიც უეჭველად დასაძრახი და დასაგმობია. აზრთა და მიმართულებათა გამორკვევა ჩვენში ჯერ ახალი საქმეა და ეს პროცესი სწორედ ახლა შედგა თავის განვითარების პირველ საფეხურზე. აქ ნათლად გამოსჭვივის ერთის მხრით საოცარი ჯიუტობა, რომელიც მართლდება ვითომ და რწმენის დაცვით და რომელიც ხანდახან იმ ზომამდეც კი მიდის, რომ საჭიროდ სცნობს თავისგანვე მიღებულ აზრის და რწმენის თავისუფლების შეზღუდვას, შემოფარგვლას, ცენზურას, კონტროლს. მეორე მხრით ნათლად სჩანს ზოგიერთების გამოურკვეველი რყევა, ბორძიკი და ორ სკამზე ჯდომა. ამათ ჯერ-ჯერობით ვერ გამოუჩენიათ რწმენის და ხასიათის სიმტკიცე, რაღაც გამოურკვეველ გარემოების წყალობით, ჯერ კიდევ ყოყმანობენ. მესამე მხრით ჩვენ ვხედავთ მათ, რომელთაც გამოიჩინეს მოქალაქობრივი გაბედულობა, უარ-ყვეს ჯიუტობა, ერთხელვე სამუდამოდ მოიშორეს აზრის შემზღუდავი ცენზურა და საკუთარ ფეხზე დადგნენ. საკმარისია პირველი ჯგუფის პროგრამასა თუ პრაქტიკულ მოქმედებაში რაიმე გასწორება ან შენიშვნა შეიტანოთ, რომ ასტყდეს ერთი აურზაური, განგაში, ასეთ პირს მოღალატეთ გამოაცხადებენ და ქვეყანას კი ყურებს გამოუჭედენ თავის მართლ-მორწმუნეობით...

ოღონდაც, რომ „მართლ მორწმუნენი“ არიან! ამას წინად ერთ ამხანაგს სასტიკი ცენზურა დაუარსეს: „შენი მწერლობითი მოღვაწეობა, ამხანაგთა კონტროლს დაუქვემდებარეო“. ესე იგი შენი აზრი ჩვენს აზრს იქით არ წავიდეს, არ გაბედო ჩვენგან ნება დაურთველად რისამე თქმაო! აგერ ახლა კიდევ ერთს საზღვარ-გარეთ მყოფ ახალგაზდას უკიჟინეს „როგორ გაბედე ევროპაში მომხდარ ფაქტის აღნიშვნა (შვეცია-ნორვეგიას შორის კავშირის შეწყვეტა)! იცი ასეთი მოქმედებით ვის უკრავ ტაშს?!“ ბოლოს ეს ახალმოდის ცენზორი აზროვნებისა იბრალებს ახალგაზდას და ამბობს: „ვაი, რა ადრე შედექი ყალბ გზაზეა! შენ მანდედან თავს ველარ დააღწევო!“ წუხს აგრეთვე მისთვის, რომ არ ძალუძს მისი აზრ-მიმართულების შებოჭა და იმ გაზეთების ალაგმვა, რომლებიც თავის ფურცლებზე ათავსებენ მოწინააღმდეგე ახალგაზდას წერილებს, თუმცა გულმწყრალად კი ეუბნება: „ციც! მეორედ არ გაბედოთ! სირცხვილიაო“!..

⁂

დიაღ, სირცხვილი ბევრი რამაა, მარა ვაი, რომ აღარ გვრცხვენიან! ადამიანის აზრის შეზღუდვა აზრის თავისუფლების მქადაგებლისაგან არაა სირცხვილი!—ერთის თქმა და მეორის ქმნა—არაა სირცხვილი! თავის თავის განდიდება და სხვათა უარ-ყოფა—არაა სირცხვილი! თავისუფალ სიტყვის ნაცვლად მუშტ-ჯოხების წამოყენება—არაა სირცხვილი! საზიზღარი ცილის წამება იდეურ მოწინააღმდეგეთა გასამურავად—არაა სირცხვილი! ფაქტების დამახინჯება, სხვათა გულში ხელის ფათური და ხალხის პირით ამის ლაპარაკი, რაც ადამიანს კერძოდ თითონ სურს,—არაა სირცხვილი!... ერთი სიტყვით, ერთ კაცს ყველაფერი ეპატიება, მეორეს,—არაფერი, ერთის ადამიანისთვის ყველაფერი სირცხვილია, მეორისათვის კი—არაფერი!..

ძალა-უნებურად მაგონდება ერთ საინტერესო კრებაზე წარმოთქმული „რეჩი“ ერთის „სირცხვილ-ნამუსიანის პირისა, რომელმაც სთქვა: „პირველ ნომერს გარეშე სხვა ნომრები ნულები არიანო“, ე. ი. ჩვენს პარტიას გარეშე ყველანი არარაობას წარმოადგენს...

...არ შეუძლიან ჩვენი ხალხის საჭიროებაზე ზრუნვა, ლაპარაკი და მუშაობა სხვას, გარეშე „პირველ ნომრისა“. თურმე ნუ იტყვით, ამ რაღაც „პირველ ნომერს“ ხალხის საჭიროებაზე ზრუნვა იჯარით აუღია და თავის მონოპოლიად გაუხდია!.. მაშასადამე, ესენი ყოფილან მოიჯარადრენი, მონოპოლისტები!—მონოპოლისტები რისი?—ხალხის საჭიროებაზე ზრუნვისა, ადამიანის აზრის და რწმენის თავისუფლებისა!.. „არა არს ღმერთი გარეშე ალლაჰისა და მაჰმადი არს მისი მოციქულიო“—ქადაგებენ ფანატიკოსები; „არა არს არავინ, გარეშე „პირველ-ნომრისაო“—გაიძახიან ერთი ჯგუფის ყმაწვილები და ცდილობენ, თუ ნებით არა, ძალით მაინც, თავისკენ წაათრიონ ყველა... ჩვენს კალთას შემოეხიზნე და ჩვენ გიშველითო...

მარა დღეს სხვა დროა! ადამიანის ყურში ხელის წავლება და თავის ჭკუაზე მისი წაჩანჩალ-წამოჩანჩალება აღარავის შეუძლია!.. დღეს სიფხიზლის და გათვითცნობიერების ხანაა, რომელიც მოგვიახლოვა ერთის მხრით ჩვენში გულწრფელ მუშაკთა მეცადინეობამ, მეორე მხრით რუსეთის უნიჭო ბიუროკრატიამ და ადმირალ ტოგოს მრისხანე ნაღმებმა. ეს ორი უკანასკნელნი, სხვათა შორის, არიან ის უკიდურესი „მემარჯვენე-მემარცხენენი“, რომელთა შეხლა-შეტაკების ზათქი გაისმა შორეულ აღმოსავლეთში და იქიდან სიგნალის მიმცემ შოლტად გადმოსწვდა უზარმაზარ იმპერიის დაჩაგრულ დიდ უმრავლესობას...

ცხოვრება ერთბამად შეიცვალა. ძალზე მოდუნებულ ძალამ მეტის სიჩქარით დაიწყო ცემა, ყველას ენერგია და სიცოცხლის ძალა გაუათკეცდა, ყველამ თავისი თავი **ადამიანად** იგრძნო და მოითხოვა თავის დაცემულ **უფლებათა აღდგენა**. კიდით კიდემდე დაიგრგვინა მუშამ, ოთხად მოკეცილმა გლეხმა და მოსთხოვა, ვისაც ჯერ არის, ანგარიში. ეს წოდებული მომენტი, ეს ხალხის მოძრაობის დიდებული დრო, რასაკვირველია, შეანგრევს მის წინ აღმართულ ჩინურ კედლებს და, აი, აქ ეჭირება ხალხს ყოვლად უანგარო, შეგნებული, ერთგულის მხარის დამჭერი ხელმძღვანელი, რომელიც ხალხს ამას კი არ უნდა ეუბნებოდეს: „მოდი, მე გიშველიო!“—არა და არა!—არამედ: „მე მხოლოდ გზას გიჩვენებ და შენს თავს შენვე უშველიო.“ ეს იქნებოდა ჭეშმარიტება, ეს იქნებოდა სიმართლე! მაშ, გაუმარჯოს ჭეშმარიტებას და სიმართლეს!...

დ. ჭოლეველი.

პატარა შენიშვნა

დღევანდელმა აზვირთებულ ცხოვრების ქარიშხალმა სხვა მრავალ საკითხთა და იარათა შორის წამოაყენა ეროვნულ სკოლის საკითხიც. ასეთ და სხვა ამგვარ საკითხებზე რუსეთის ბიუროკრატიის უღელ-ქვეშ წინად კანტი-კუნტად გაისმოდა ხმები. მაგრამ, დღეს რუსეთში მყოფ დაჩაგრულ ერებმა უფრო გაბედულად წამოაყენეს მთელი რიგი ეროვნულ საკითხთა, რომელთა შორის არა მცირე ადგილი უკავია ენის და სკოლის საკითხს, და მით არსებულ ბიუროკრატიაზე სამკვდრო-სასიცოცხლო იერიში მიიტანეს. უკანასკნელმა ერთხანს ყურებში თითი დაიცო, თითქო აქ არაფერიაო, მარა, როდესაც იერიში იერიშზე განმეორდა, ბიუროკრატიაც დიდ ფიქრს მიეცა და ბოლოს მან აღიარა პირველ-დაწყებით სკოლებში დედა-ენაზე სწავლების წარმოება.

მაგრამ ბიუროკრატია აქაც ცდილობს ეს „რეფორმა“, ე. ი. დედა-ენაზე სწავლება თავისებურად გაიგოს და ძველი სისტემის სასარგებლოდ მას რამე ჩამოათალოს. იგი ცდილობს ზოგიერთი ნაწილი საქართველოსი ჩვენს სამშობლოს ჩამოაცალოს და სამშობლო ენად ადგილობრივი კილოკავი გამოაცხადოს. ბიუროკრატიას გადუწყვეტია სვანებისთვის სახელმძღვანელოს სვანურ ენაზე შედგენა და ეს საქმე კიდეც მიუნდვია ერთის „პედაგოგისთვის“, რომელსაც უკისრია კიდეც მინდობილ საქმის შესრულება და შესდგომია სვანეთის სკოლებისთვის სახელმძღვანელოს შედგენას!.. ალბად ახლა აშორდიაც წამოჰყოფს თავს სამეგრელოს სკოლების „სასარგებლოდ“ და ეს ახლად მოვლენილი ძალად მაცხონებლები ,,პატრიოტობენ'' თავიანთ ,,სამშობლოს'' საკეთილდღეოდ!... ჩვენ გვწამს, რომ თვითონ სვანები და მეგრელები საქვეყნოდ დაჰგმობენ ასეთ „კეთილისმყოფთ“...

დ. თ.

სამაზრო მეთვალყურეთა კრება.

საქართველოს ეგზარხოსის განკარგულებით,—ქართლ-კახეთის სამრევლო სკოლების საეპარქიო მეთვალყურემ ა. ი. ოდოევმა, 21 აგვისტოს, გახსნა კრება სამრევლო სკოლების სამაზრო მეთვალყურეთა, რომელსაც, სხვათა შორის, დაესწრნენ: ი. ი. ფერაძე, ა. ი. ნატროშვილი და პ. მ. კარხანელი. ამ კრების მსჯელობას და დადგენილებას მოკლედ გაცნობთ მკითხველებს.

ა) **რა მიზეზია, რომ ხალხმა აითვალწუნა სამრევლო სკოლა?** კრების აზრით, ამის მიზეზია სხვათა შორის ის, რომ სწავლება სწარმოებს ამ სკოლაში ხალხისთვის გაუგებარს რუსულს ენაზე, ასე რომ კურს-დამთავრებულმა მოწაფემ არც მშობლიური ენა იცის და არც რუსული. ამის გამო ხალხი თხოულობს ისეთ სკოლას,—რომელშიაც ბავშვის სულის ძალები ჰარმონიულად ვითარდებოდეს მშობლიურს ენაზე ყველა საგნების სწავლების საშუალებით. ამას გარდა დღევანდელი სკოლა ახალთაობას არ აძლევს ცხოვრებაში გამოსადეგს ცოდნას და ტვინს ულევებს მას მხოლოდ სიტყვიერის სწავლებით. ბევრგან მასწავლებლები მოუმზადებელნი არიან და ისინი საზოგადოდ ნივთიერად უზრუნველ-ყოფილნიც არ არიან. ზოგიერთს სკოლას აძლევს ძლიერ ცოტა დახმარება სახელმწიფო ხაზინიდამ და ზოგს კი—ბლომათ,—სახელმწიფო დახმარება სამართლიანად არაა განაწილებული სკოლათა შორის. ამასთანავე საეკლესიო საგნებს ბევრი დრო უნდება და საერო საგნებისთვის საკმაო დრო აღარ რჩება.

ბ) **რა ადგილი უნდა ეჭიროს მშობლიურს ენას ადგილობრივს სკოლაში?** კრების აზრით ყველა საგნების სწავლება სკოლაში უნდა სწარმოებდეს მშობლიურს ენაზე და რუსული ენა კი ისწავლებოდეს, როგორც სავალდებულო, კერძო საგანი... შერეული სკოლების გახსნა, რომლებშიაც სხვადასხვა ერის შვილები სწავლობენ, სასურველი არაა. სასურველია, რომ თითოეულს ერს ჰქონდეს ეროვნული სკოლა ყველა საგნების მშობლიურს ენაზე სწავლებით. უკეთუ სადმე შერეული სკოლა დაარსდება, მაშინ უმცირესობა (ერთს მესამედზე ნაკლები) სწავლობს უმრავლესობის ენაზე,—და თუ უმცირესობა ერთს მესამედზე მეტია, მაშინ სწავლების ენა უნდა განისაზღვროს მცხოვრებთა ურთიერთის შორის შეთანხმებით. ამ შემთხვევაშიც, უმცირესობას, თუ ის სწავლობს უმრავლესობის ენაზე ყველა საგნებს,—ნება აქვს ისწავლოს მშობლიური ენა, როგორც კერძო საგანი.

გ) **სკოლათა ტიპები.** კრებამ სასურველად სცნო—რომ პირველადვე დაარსდეს ყველგან: 1) **ორკლასიანი** სკოლები სამის მასწავლებლით და ექვსის წლის კურსით და სადაც ეს, საშუალებათა უქონლობის გამო, შესაძლებელი არ იქნება,—ერთ კლასიანი სკოლები ორის მასწავლებლით და ოთხ-წლიან კურსით და 2) წერაკითხვის სკოლები ორი წლის კურსით და ერთის მასწავლებლით. ამ სკოლებში სწავლების საგნებს შინაგანი კავშირი უნდა ჰქონდეს, ისე რომ წერაკითხვის სკოლის მოწაფეს შეეძლოს ერთკლასიან სკოლის მესამე განყოფილებაში შესვლა და ერთკლასიან სკოლის მოწაფეს კი ორკლასიან სკოლის მეხუთე განყოფილებაში შესვლა. სახალხო სკოლამ უნდა მისცეს მოწაფეს დამთავრებული განათლება... ამ სკოლას სახეში არ უნდა ქონდეს ისე მოაწყოს სწავლების საქმე, რომ უსათუოდ საშუალო ტიპის სკოლებისთვის ამზადებდეს მოწაფეებს. ხალხს ისეთი სახალხო სკოლა უნდა, რომელიც მის ინტერესებს შეეფერება, იმისდა მიუხედავად, შევლენ თუ არა სკოლის მოწაფეები საშუალო ტიპის სკოლაში (გიმნაზია)...

დ) რუსული ენა, როგორც სავალდებულო საგანი წერაკითხვის სკოლაში სრულიად არ ისწავლება, მას ასწავლიან მესამე წლიდან... კრების წევრთა უმეტესობის აზრით,—მშობლიურს ენაზე განვითარებულს ბავშვს უცხო ენის შესწავლა არ გაუჭირდება მესამე წლიდან, ის უფრო ადვილად სძლევს ამ ენის სიძნელეს და შეითვისებს მას საფუძვლიანად...

ე) **საგნები და გაკვეთილთა რიცხვი.**

	წერაკითხ. სკ.	ერთკლ. სკ.	ორკლას. სკ.
ა. სღმრთო სჯული	4.	4.	3.
ბ. მშობლიური ენა	7.	7.	4.
გ. რუსული ენა	—	7.	6.
დ. ანგარიში	5.	4.	4.
ე. გალობა	2.	2.	2.
ვ. გეომეტრია	—	—	2.
ზ. ცნობები ბუნების მოვლენათა შესახებ და ჰიგიენა	—	2.	3.
ჱ. გეოგრაფია (სამშ. გეოგრაფიითურთ)	—	—	3.
თ. სამოქალაქო ისტორია (სამშობლოს ისტორიით)	—	—	2.

ხოლო სრულიად—18—24—29.

პროგრამების შემუშავება კრებამ მიანდო კერძო კომისიებს: სღმრთო სჯულისა და გალობისა: მღვდ. კალ. ცინცაძეს და ი. მიხაილოვსკის, მშობლიურა ენისა და ჰიგიენისა ი. ფერაძეს, პ. კარხანელს (ბერძნული ენა) და მასწავლებ. ანნა არდაზიანს; რუსულის ენისა: მათვე და მღვდ. ქრისტ. ციცქიშვილს, დანარჩენი საგნებისა—ა. ნატროშვილს, მღვდ. კ. ცინცაძეს და მიხ. მახათაძეს. ყველა ამ პირთ ნება აქვთ მოიწვიონ პროგრამის შესამუშავებლად ამა თუ იმ საგნის სპეციალისტები. კომისიებს ნება აქვსთ შეამოკლონ არსებული პროგრამები და შეავსონ ახალი საკითხებით. კომისიებსვე მიენდო უჩვენონ სწავლების მეთოდები და შესაფერი სახელმძღვანელოები. მთელი სასწავლო გეგმა და პროგრამები განსახილველად უნდა წარედგინოს ქართლ-კახეთის სამღვდელოების მომავალს კრებას,—რომლის მოკლე დროში მოწვევა აუცილებელ საჭიროებად ცნობილ იქმნა მეთვალყურეთა კრების-მიერ.

ვ. მასწავლებელთა შესახებ. მასწავლებელთა ჯეროვნად მოსამზადებლად საჭიროა დაარსდეს სამასწავლებლო სემინარია, აწინდელ მეორე კლასიან სკოლების ნაცვლად,— რომელნიც რიგიან მასწავლებლებს არ გვაძლევენ. სამასწავლებლო სემინარიაში სწავლების გეგმა და პროგრამები უნდა შეეფერებოდეს ადგილობრივ პირობებს და ეროვნულ ხასიათს. მასწავლებელს უნდა დაენიშნოს 480 მან. ხუთის წლის შემდეგ—540 მან., ათის წლის სამსახურის შემდეგ უნდა იღებდეს—600 მან. უნდა დაარსდეს მასწავლებელთა დამხმარე კასსა, რომლის ძირითად თანხად, ა. ოდოევის მოხსენების თანახმად, საეპარქიო საბჭომ 3000 მან. გადადოს. სკოლას განაგებს სასკოლო საბჭო, რომლის წევრებად არიან მასწავლებლები, სოფლის ორი წარმომადგენელი და სკოლის მზრუნველი. სკოლების შენახვა სავსებით ხაზინამ უნდა იკისროს.

ზ. საარჩევნო საკითხი. კრების წევრთა: მღვდ. დ. ხახუტაშვილის, ქრისტ. ციცქიშვილის და ზან. კონტრიძის და ი. ფერაძის წინადადების თანახმად კრებას მსჯელობა ჰქონდა სასკოლო გამგეობაში საარჩევნო უფლების შემოღების შესახებ. კრებამ დაადგინა შემდეგი: მაზრის სამღვდელოების და მასწავლებლების წარმომადგენელნი ირჩევენ სამაზრო საბჭოს წევრებს ვადით და მეთვალყურეს უვადოდ, მთელის ეპარქიის სამღვდელოების და მასწავლებლების წარმომადგენელნი კი—საეპარქიო საბჭოს წევრებს—ვადით,—ხოლო საეპარქიო მეთვალყურეს უვადოდ. თავმჯდომარემ საარჩევნო საკითხის შესახებ მსჯელობის ნება მისცა კრებას და თვით კი იმის შესახებ მსჯელობა არ ინება. მას მიემხრო კრების მხოლოდ ერთი წევრი.

მომავალი კრება სამღვდელოებისა განიხილავს შემუშავებულს სასწავლო გეგმას და პროგრამებს. ამასთან ერთად იგივე განიხილავს ა. ი. ოდოევის კერძო აზრებს ამის შესახებ, რომ პირველად საჭირო არაა წერაკითხვის (ორწლიანი კურსით) სკოლების დაარსება და, მეორედ,—საჭიროა რუსულის ენის სწავლება პირველ წლიდამვე იწყებოდეს, მთელს წელს ზეპირად,—ხოლო მეორე წლიდამვე წერა-კითხვის სწავლება სავალდებულო იყვეს. კრებამ ჩამოთვლილ საგანთა გარდა, უნდა გადასწყვიტოს ისიც, თუ ცხოვრებაში რა გამოსადეგი საგნები უნდა ისწავლებოდეს სკოლაში.

კრება 28 მარიამობისთვეს დასრულდა. სკოლებში სწავლება ჯერ ძველის პროგრამით იქნება, სანამ ახალს დაამტკიცებენ.

ილ. ნებოძირელი.

რუსეთი

◆ პეტერბურგში მიხაილოვის მანეჟში დაბანაკებულია 3000 მატროსი, რომელნიც ამ დღეებში რუსეთის სხვადასხვა კუთხეებში უნდა გაგზავნონ. **მატროსებს ჯარი ჰდარაჯობს** (რ. ვ.).

◆ 17 და 18 აგვისტოს კოვნოში **გაზეთები არ გამოსულა** (რ. ვ.).

◆ საგუბერნიო საერობო ხმოსანს, ვილნოს პოლკის პორუჩიკს, სევერებინსკს შტაბს-კაპიტნობა მიეცა „მხნე და ერთგულ სამსახურისთვის“. ეს პორუჩიკი ფეოდოსიაში იყო და ჯავშნოსან „პოტემკინ“-ის მატროსების დახვრეტაში დიდი მხნეობა და გამბედაობა გამოიჩინა.

◆ ოდესის უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესორი იაროშენკო, რომელიც ადმინისტრატიულ წესით **ვოლოგდაში იყო გადასახლებული**, 21 აგვისტოს მთავრობის ნებართვით, საზღვარ-გარედ გადაიხვეწა (რ. ვ.).

ლია, უმთავრესი მეცნიერული ლიტერატურაა. მაგრამ მეცნიერულ ნაწარმოებთ, საზოგადოდ, ეროვნული ხასიათი არა აქვთ, ვინაიდან მეცნიერება ყველასათვის ერთია. ამიტომ თუ რომელისამე ერს უნდა რომ თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნილებანი დაიკმაყოფილოს და ან ესმოდეს, უეჭველად უნდა სთარგმნოს ხოლმე ისეთი სამეცნიერო ნაწარმოებნი, რომლებიც თვით ერს ვერ შეუქმნია თავის ენაზე, თუმცა ამასთანავე ისიც უნდა ითქვას, რომ, თუ თვით ერი არა სცდილობს თავისით შეჰქმნას სამეცნიერო თხზულებანი, განვითარება ამ ერისა იქმნება მხოლოდ ზერელი, არა მტკიცე.

გონებრივი მოქმედება ქართველებისა ჯერჯერობით სიტყვა-კაზმულ მწერლობით განისაზღვრება. მწერილობის ამ დარგის აღორძინებიდან, წასული საუკუნის ნახევრიდან დღემდე—ამ დარგმა მწერლობისამ ორი ხანა განიცადა: თვისებითი და რაოდენობითი.

1890 წლამდე მწერლები და მკითხველები ნაკლებად იყვნენ. მაგრამ, ამისდა მიუხედავად, იმ დროის ნაწარმოებნი თვისებით საუნჯენი არიან მთელის ქართველის ლიტერატურისა. ნ. ბარათაშვილი, გრ. ორბელიანი, ილ. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, რაფ. ერისთავი თავისებურის, ეროვნულ ელფერის მძლავრი პოეტები არიან. მათ ნაწერებში გამოკრთის სული და გული ქართველებისა. მათ ნაწერებს რომ კითხულობთ, თქვენ თვალწინ იშლება მთელი წარსული და აწმყო საქართველოსი და მომავალი თაობა მათ ჩასთვლის სამშობლო ცხოვრების გამომხატველად, ახალის პოეზიის შემქმნელად.

ამ უკანასკნელ 15 წლის განმავლობაში ლიტერატურა ძლიან განვითარდა და ნამეტნავად კი პუბლიცისტიკა. მართალია, პუბლიცისტიკას ახლა დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ პუბლიცისტიკასთან ერთად უნდა ვითარდებოდეს ლიტერატურაც, „რომელიც უფრო მუდმივი და მტკიცე კულტურული ფაქტორია“. მოთხრობა და პოეზია არ უნდა დაიშრიტოს, ვინაიდან მათში უფრო ნათლად გამოკრთის ცხოვრება. თანამედროვე ქართული მწერლობა რომ გადაათვალიეროთ, თქვენზე განსაკუთრებულ გავლენა-შთაბეჭდილებას არც ერთი არ ახდენს. მათში არ მოიპოვება თავისებური დაღი, ქართველური ელფერი, რომელიც წარსულ საუკუნის ლიტერატურის დამახასიათებელ თვისებას შეადგენდა. შეიძლება ვსცდებოდე, მაგრამ ვეჭვობ, რომ მათში საკუთრივ ქართველური „მე“ გამოკრთოდეს,—ის „მე“ რაღაც გადმორგულ-გადმოღებულია.

ამის მიზეზად უხასიათობა და უცხო იდეალებით გატაცება უნდა ჩავთვალოთ, ე. ი. მიმბაძველობა.

შოპენჰაუერი ამბობს: იმ კერძო ადამიანსა, თუ ერს, რომელიც სხვის აზრებსა და თეორიებს ითვისებს, ან საკუთარ „მე“-ს სნეულება სჭირს, ან იმ ქლექიანს მოგვაგონებთ, რომელიც თავის სნეულობის შესწავლის მაგიერ, ყოველგვარ წამლებს ეტანება, რადგან ამ წამლებს სხვებისთვის ურგიათ.

ბრეიზგის აზრით: კულტურა თვითგანვითარებაა, ე. ი. ცხოვრების განვითარება თვით ერის სულიერ ძალღონიდან უნდა გამომდინარეობდეს. მაშასადამე, „მე“ განუწყვეტლივ და გულდასმით უნდა იკვლევდეს თავის საკუთარს ნაკლსა და სანამ გარეშე წამალს მიმართავდეს, თავის ორგანიზმშივე უნდა ეძიოს მისი მიზეზები. რითი არიან დიდებული მწერალნი თუ არა თავის ხალხის წყლულთა და ნაკლულევანებათა გამოკვლევით? ზოლამ მთელი თავისი სამწერლო მოღვაწეობა ამ საგანს შეალია. ან და „კაცია ადამიანი?!“ ი. ჭავჭავაძისა იგივე არ არის?

ასე და ამ გვარად, მე მგონია, რომ ქართველთა კულტურის ასამაღლებლად, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა ქართველურ „მე“-ს ყოვლმხრივი შესწავლა, მის ღირსება-ნაკლულევანებით. მხოლოდ მაშინ მიეცემა მწერლობასა და ხელოვნებას თავისებური ხასიათი, მხოლოდ მაშინ იქმნება იგი ნამდვილი სარკე ქართველთა ცხოვრებისა.

არტურ ლეისტი

✦ თერგის ოლქის ნოვო-ოსეტინის სტანცის კაზაკ-რუსებმა სამხედრო მინისტრს დეპეშით სთხოვეს, **კაზაკთა წოდება გააუქმეთ** და ჩვენც სხვა წოდებებთან გაგვათანასწორეთო (რ. ვ.).

✦ ბალტიის ქარხნის მუშებმა ხაზინას 50,000 მანათის **ზარალის გადახდა მოსთხოვეს**, ხაზინამ უარი უთხრა. მუშებმა სასამართლოში საჩივარი შეიტანეს (ს. ო.).

✦ ამას წინად ეკატერინოსლავში არქეოლოგთა კრება მოხდა. კრებას უნდა დასწრებოდა რამდენიმე გალიციელი არქეოლოგიც, რომელთაც მოხსენება უნდა წაეკითხათ მალოროსიის შესახებ, მაგრამ მთავრობამ **მალოროსიულ ენაზე კამათისა და ლაპარაკის ნება არ მისცა**, რის გამოც ზემოხსენებული არქეოლოგები კრებას ვერ დაესწრნენ. ამის გამო 187 არქეოლოგმა კოლექტიური პროტესტი განაცხადეს და კრებიდან გავიდნენ (ს. ო.).

✦ მთელი ევროპისა და რუსეთის პრესსა, ეს ერთი თვეა, გაიძახის, დღეს თუ ხვალ რუსეთში ამნისტიას გამოაცხადებენო. ნამდვილად კი **რუსეთში არავითარი ამნისტა არ მოხდება.** „სინ ოტეჩესტვას“ თანამშრომლისთვის პოლიციის დეპარტამენტში უთქვამთ, არც ჩვენ და არც იუსტიციის სამინისტრომ არაფერი ვიცით ამნისტიის შესახებაო (ს. ო.).

✦ რუსეთის საზღვაო ინჟინერებმა თითქმის დამთავრებული ორი ჯავშნოსანი—„ანდრეი პერვოზვანნი“ და „სლავა“ არ მოიწონეს და გადაკეთებას შეუდგნენ. გადაკეთება, როგორც ამბობენ, რამდენიმე ასი ათასი მანათი დაჯდება (რ. ვ.).

კორესპონდენცია

დ. ქობულეთი. კარგა ხანია, რაც დ. ქობულეთი (იგივე „ჩურუქსუ“) საკურორტო ადგილად გადაიქცა. ვერან მიწაზე ათას ნაირად აშენებული სახლები გაკეთდა, ტყეს ბალახების ადგილას ძვირფასი ხეებისა და მცენარეების ბაღები გაშენდა და მათ საშუალება მიეცათ „სამსახურის გამო დაღლილ-დაქანცულ“ ჩინოვნიკთ, ზღვის სუფთა ჰაერი ეყლაპათ, განცხრომას მისცემოდნენ.

ქობულეთი მართლაც რომ უფრო „მოხუც ბიუროკრატთა“ აგარაკად გადაქცეულა და, თუ სხვა ხალხიც მოდის აქ, ისინი უფრო „ნასუფრალით ჰკვებობენ“. სხვა წლებთან შედარებით წელს აქ ცოტა იყო ხალხი, რადგან მოაგარაკეთ „ზუბტის“-ს შეშინებიათ!...

დღევანდელ მოძრაობას ერთი ნაპერწკალი აქაც ჩამოვარდნილა და აქ ადგილობრივ ქართველთა ქრისტ. და ქართველ-მაჰმადიანთა შორის „ახალთაობის ცეცხლი“ გაუღვივებია; თუმცა ბევრს ცდილან და ახლაც ცდილობენ „მოღვაწე ბნელი ძალები“ ამ ორ ხალხთა შორის (ქართველ ქრისტ. და მაჰმადიანთა) შური და მტრობა ჩამოეგდოთ, ათას ნაირ ხრიკებითა და მოგონებით, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ და იმედია, შემდეგშიაც არ დაუჯერებენ აქაური მაჰმადიანები სხვადასხვა ვაჟბატონების ჩურჩულს, და უფრო ენერგიულად შეუდგებიან საქმეს თავიანთ მეზობელ და ამხანაგ გურულებთან ერთად.

ამ ხანებში აქ ბევრი ქურდობა და თავ-დასხმა მოხდა; რადგან იმ ვაჟბატონებმა, რომელთაც ავ-კაცობა ხელობად გაუხდიათ, სოფლებში ვეღარ იბოგინებენ ხალხის რისხვის გამო, თავიანთი „ქურდობის კანტორა“ აქ გადმოიტანეს. საუბედუროდ მათდა აქაც ხალხი დაუხვდა, რომელმაც ყველას მიანიჭა შესაფერი „ჯილდო“,—ზოგს ავაზაკთაგანს აქვე გადაუწყვიტეს სასჯელი, ზოგს კი დააკრეს ზურგზე განაჩენი და გაამგზავრეს თავთავიანთ სოფლებში და იქ რა მოელით ამას თქმა აღარ უნდა...

ამ ზაფხულს აქ ქართულ წარმოდგენებს მართავდა ვიღაც „არტისტად“ წოდებული ბახტურიძე. სწორე მოგახსენოთ, საზოგადოებისა და სცენის ისე მასხრად აგდება, არ გვინახავს. დღეს, როცა, როგორც ცხოვრებაში, ისე სცენაზედაც, ყველა სერიოზულს და საგარგისის გაგონებასა და შექმნას ცდილობს, ბ. ბახტურიძეს გამოუჩხრეკია რაღაც უშინაარსო ფარსები და ვოდევილები სცენა ხომ სცენას არ გავს, თამაში—თამაშს, ყველა „მოთამაშენი“, ბლუსავით ლუღლუღებენ და იღეჭებიან, ბუტკაში სუფლიორი გაჰკივის, სცენაზე „რეჟისორი კამანდობს“:—„აბა, დაჯექით“—„გაუდინე“—„ენა ამოიღე“—„გადი სცენიდან“—„ახლა გაიქეცი“—„იტირე“ და სხვა. და ყველა ესენი ისეა არეული ერთმანეთში, რომ წარმოდგენა კი არა, სავაჭრო მოედანი გეგონებათ.

ჭინკაი.

სოფ. ახალ-ქალაქი. შარშან ზაფხულს სიხარულით ვწერდი „ივერიას“, ახალ-ქალაქში სამკითხველო გაიხსნა, მეწინავეების ამ პატარა ტაძარმა ნათელი და სიხარული ბოჭინა ამ სოფლის უფერულ და უგემურ ცხოვრებას-მეთქი. ჩემი სიხარული ნამდვილი გამოდგა. ახალქალაქელები და საზაფხულოდ მისულნიც ისე შევეჩვიეთ ამ პატარა, სუფთა სოფლის საუკეთესო ადგილს გამონახულ ბიბლიოთეკას, როგორც მნათობს ვარსკვლავს და ყველანი მივაწყდებოდით იქ, რომ შეგვეტყო გაზეთებიდან წუთისოფლის წამებ-უკუღმა ტრიალის ამბავი.

მეტადრე წელს, ამ აქაფებულ ცხოვრების დროს, დიდად სანუკველი და საჭირო შეიქნა ყველასათვის აქაური სამკითხველო. პატარა სამკითხველოს ოთახი პირამდინ სავსე იყო ყოველთვის და ყველა აქ მისული მოწიწებით და სარწმუნოებრივის სასოებით ეწაფებოდა კითხვას. არავითარი ხმაურობა, არავითარი მოძრაობა არ არღვევდა აქ გამეფებულ მყუდროებას. მხოლოდ მკითხველების სახეებზე თუ აღიბეჭდებოდა ეს თუ ის მძლავრი და გონების აღმაშფოთებელი შთაბეჭდილებანი. წიგნები, გაზეთები და საყმაწვილო ჟურნალის ნომრები სახლშიაც მრავალს მიჰქონდა წასაკითხად.

ბიბლიოთეკას ფოსტაც დაუკავშირა ჩვენმა ბიბლიოთეკარმა და ამით ერთი-ათად უფრო შეგვიყვარა სამკითხველო. აქამდინ ახალქალაქში კანკალით ჰგზავნიდი წერილს იმ შიშით, რომ, მანამ დანიშნულებამდე მიაწევდა, ვინ იცის, რამდენი გასჩხრეკდა და შენი გულის ნადებს შეურაცხჰყოფდა გადაბრუნებ გადმობრუნებით; ეხლა კი დარწმუნებული ხარ, რომ შენი წერილი ხელ-შეუხებელია და დაუგვიანებლივ იმავ დღესვე წავა და თავის დანიშნულებისამებრ ჩაბარდება.

ყველა ეს ფრიად ძვირფასი კულტურული მოვლენაა, მაგრამ ბნელეთის რაინდებმა ეს წმინდა საქმეც დაანგრეს და სამკითხველოს კლიტე დაადეს... მოსპეს სინათლე იმიტომ, რომ თვალები უბრმავდებოდათ ნათელ მისიდ აზრთა გავრცელებით! ამბობენ, სამკითხველო დროებით დააკეტინესო. ღმერთმა ქმნას!

ორი კვირა იყო ახალქალაქში ეგზეკუცია. ორას სამოცი თუმანი შეუჭამა ამ საშინელმა ვეშაპმა. მთელი სოფლის თივა და ბალახი შთანთქა, ხილი და მწვანეულობა მთლად გაანადგურა... ახლა „კომისია“ არის აქ მემამულეებისთვის მიყენებულ ზარალის გამოსაკვლევად და თან ახლავს მთელი ესკადრონი დრაგუნებისა. ორი როტა სალდათიც არის კიდევ დაბანაკებული. მაზრის უფროსი ჰკრეფს ცნობებს თავადებისაგან, თუ რა აზარალებს მათ გლეხებმა გაფიცვით ამას შესახებ ამბობენ, თავადები დიდს დანაკლისს თხოულობენო... დამშეული და ტიტველ შიშველი გლეხობა შიშით ძრწის, ტირის, იწუხებს, იმუქრება... ნეტა რას იტყვის მომავალი? მაზრის უფროსი კისრულობს მორიგებასაო, ამბობენ...

მღვდლის შვილი.

სოფელი ქედა. (ქვემო აჭარა) 18 ამ აგვისტოს აქ მოვიდა ბათუმის გუბერნატორი ბ. ფონ პარკაუ, რომელსაც ქედის საბოქაულოს მცხოვრებლები პურმარილით მიეგებნენ და შემდეგი სათხოვარი წარუდგინეს:

1, მოგვეცით უფლება, რომ ბათუმიდან უბაჟოდ ნახევარ-ფუთამდის ნავთის წამოღება შეგვეძლოს.

2, სახელმწიფო და კერძო პირთა სამფლობელო ტყე-მამულები გაიყოს ერთი მეორისგან, თორემ ხალხმა არ იცის, რომელი მისია და რომელი სახელმწიფო; ამითი ტყის მცველები სარგებლობენ და, სადაც ეკუთვნის და არ ეკუთვნის, ყველგან ბაჟს თხოულობენ.

3, რადგანაც აჭარაში მოსავალი ნამეტარი ცოტა იცის და გადასახადი კი ძლიერ დიდი გვაქვს, შეგვიმცირეთ გადასახადი, ნამეტნავად კი ტყის ბაჟი.

4, რადგანაც ჩვენს კაცს მიწა ძლიერ ცოტა აქვს, ამიტომ ბათომის ოლქში დაუსახლებელი სახელმწიფო მიწები დაურიგდეს ჩვენს უმიწო-წყლო ხალხსა;

5, ის მიწები, რომლებიც ბათომში მართველობამ ჩამოართვა მეჩეთებს და ქალაქის მმართველობას გადასცა ისევ მეჩეთს დაუბრუნდეს.

6, რადგანაც ჩვენი კაცი ბათომის ქარხანაში მუშაობას ვერ შოულობს, ნება მიეცეს სხვებთან ერთად ნახევარი ჩვენი კაცი იყოსო (!).

7, ქედაში დაარსდეს ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა.

8, თქვენდა დაუკითხავად, მარტო „უჩასტკის“ უფროსის ნებართვით იარაღის ტარების ნება მოგვეცეს.

9, „სლოვენის სუდი“ დეპუტატებს ჩვენი ხმოსნები კენჭის უმეტესობით არჩევდნენ და აყენებდნენ, მაგრამ წელს, ვისაც უმცირესი ჰქონდა თეთრი, მთავრობამ ის დაამტკიცა, ამიტომ ვითხოვთ ხმის უმეტესობით არჩეული დაგვიმტკიცოთ ხოლმე.

10, აბდულ-ბეგს და ხემიდ-ბეგს ბეჟანიძეებს, რომლებიც ოსმალეთში არიან გაქცეულნი, ნება მიეცეთ სამშობლოში დაბრუნებისა, რადგანაც ჩვენთვის საჭირო კაცები არიანო.

ზემო აღნიშნული სათხოვარი გუბერნატორს სოფლის-მიერ არჩეულმა თარჯიმანმა სულეიმან-ბეგ ბეჟანიძემ მოახსენა. გუბერნატორი შეჰპირდა ზოგიერთ თხოვნას აგისრულებთ და ზოგიერთის შესახებ კი უმაღლეს მთავრობასთან ვიშუამდგომლებო. შემდეგ ამისა, გუბერნატორმა დაათვალიერა ქედის ორკლასიანი სასწავლებელი, ქედისვე ბაზარი და მეჩეთი.

11 საათზე მოსულმა ქედში სამ საათამდე დაჰყო და შემდეგ ზემო-აჭარაში გაემგზავრა.

წელს ჩვენში ხას ნაყოფი ბევრი მოვიდა, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, წელს ბათომში ხალხი ნამეტანი ცოტა დარჩა და ხილს ძლიერ ნაკლები ფასი აქვს.

მიწის მოსავლისაგან აღარაფერს სანუგეშოს არ მოველით, რადგანაც სიმინდები მთლად დაგვიწვა უწვიმრობისაგან. ზოგჯერ წვიმიდან-წვიმამდის 20—25 დღე გადის და, ივნისსა და ივლისში კი, მარტო ერთხელ იყო წვიმა ისიც ივნისის დამდეგს.

აქამდე მკვლელობა ძლიერ ცოტა იყო, მაგრამ ეს ერთი თვეა, რაც ძლიერ გახშირდა.

აბდულ ეფენდი მიქელაძე.

ქ გორი. 19 აგვისტო. გუშინ, ნაშუადღევის სამ საათზე, გორის მახლობლად, სოფ. ბერბუკის ბოლოში მოჰკლეს სოფ. მეჯრუხევში მცხოვრებელი თავადი კოტე ერისთავი. ცხონებული ძალიან ჰკვიან და გავლენიან კაცად ითვლებოდა თავად-აზნაურობაში. იმის სიტყვას და მაგალითს თავადებზე დიდი გავლენა ჰქონდა. სწორედ მიზეზადაც ამას ასახელებდნენ: არ იქმნა, ვერა გზით ვერ დაიყოლიეს გლეხებისათვის დაეთმო რამეო (თუმცა ისე კი ძალიან მშვიდი, უწყინარი და თავდაბალი იყო). სხვებსაც იმაზე ეჭვიათ თვალი და არ ურიგდებოდნენ გლეხ-კაცებსაო. განსვენებული თავის საკუთარ დილიჟანს ამუშავებდა გორსა და მეჯრუხევს შუა. ამ დღეს გორში ყოფილიყო და სხვებთან ერთად თავისივე დილიჟანით გამგზავრებულიყო სახლში. გორიდან ასე ორსა თუ სამ ვერსზე სოფელი ბერბუკია. ამ სოფლის ბოლოში ბაღებია და გზაზე მდინარე ტორტლა ჩამოდის, მეეტლეებს ჩვეულებად აქვთ აქ დაალევინებენ ხოლმე ცხენებს წყალს, რადგან ამის ზემოთ გზაში წყალს ვეღარსად ნახვენ. ჩვეულებისამებრ მეეტლეს დაეყენებინა ცხენები. განსვენებული ამ მეეტლესთან ერთად წინ მჯდარიყო „კოზლაზე“, რადგან ცხელოდა და დილიჟანშიაც ადგილი აღარ იყო. ამ დროს განსვენებულს შეემჩნია ნერგებში ვიღაც შეიარაღებული კაცი და დაეყვირნა: ვინა ხართო? თან ორჯელ რევოლვერი დაეცალა. ნერგებიდანაც გავარდნილიყო თოფი, მოხვედროდა ყელში და ტვინში გაევლო. განსვენებულს იქვე სული დაელია. მსროლელს ისე დაემიზნებინა, რომ იმის გვერდზედ მჯდომი მეეტლე გოგოლაძე სრულიად უვნებლად გადარჩა. მკვლელი მიიმალა და ჯერ-ჯერობით ვერ აღმოუჩენიათ.

ზოგი ამ მკვლელობას სხვანაირად ხსნის: ამავე დღეს დილით, გორში, სემინარიის ქუჩაზე ესროლეს შავი რაზმის წევრს ს. მეჯრუხევში მცხოვრებელს აზნაურს არჩილ ჩუბინაშვილს, მაგრამ ტყვია ვერ მოარტყეს. ორივე მხარემ გაქცევით თავს უშველა. აქ ამბობენ, იქნება მკვლელებს იმ აზნაურის მოკვლა უნდოდათ და შემთხვევით როგორმე კოტე კი მოჰკლესო. ჩუბინაშვილს კი კაცის მოკვლას აბრალებენ და ალბად ვისმე სისხლის აღება სწყუროდაო.

ამ სამი-ოთხი დღის წინად. გორშივე მოჰკლეს ერთი აისორი, მალიარი, სახელად პავლე. ეს კაცი უცხოეთიდან იყო გადმოხვეწილი და კაი ქონებაც ჰქონდა შეძენილი. მხოლოდ თავის გუნების კაცი იყო და ამქრის და ქვეყნის ლაპარაკს ყურს არ უგდებდა. იღებდა სხვა ამქრის საქმეებს ძალიან იაფად და თავის მუქთა მუშა ქარგლებს აკეთებინებდა. ამქარმა რამდენჯერმე გააფრთხილა, ჩვენ ლუკმა პურს ნუ გვიწყვეტავ, ცოლშვილის პატრონი ხალხი ვართ, ჩვენი ალალი მარჯვენის ოფლი ჩვენ ცოლშვილს არა ჰყოფნის პურის ფულად, შენ კი მაგოდენა მუქთა ალხი გყავს, მუქთად ამუშავებ, რას იზარალებ, რა ფასები გაგდის, დიაღ, როგორც უნდა იყოს, აიღებო. მაგრამ, პავლე არავის ლაპარაკს ყურადღებას არ აქცევდა: ჩემი ნება ასე არის, ვინც რა უნდა სთქვასო..

ამ ოთხი დღის წინედ, ღამის ათ საათზე, ბალკონში ჯდომს პავლეს ჩამოუარა უცნობმა და მიესალმა:

— გამარჯობა, პავლე!

— გაგიმარჯოს! ვინა ხარ, ბიჭო?

პასუხად გავარდა რევოლვერი და პავლე მიემატა თავის მამაპაპათა სახსენებელს.

კიკოლა.

წერილი რედაქციის მიმართ

ბ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ადგილი მისცეთ ამ ჩემს განცხადებას თქვენს პატივცემულს გაზეთში:

თუმცა ფაქტიურად მე, დიდი ხანია, თავი დავანებე გორის მაზრის კეთილ-შობილთა მილიციას, მაგრამ დღეს სხვადასხვა მიზეზები მაიძულებენ ფორმალურად, საჯაროდ გამოვუცხადო ჩემი უკმაყოფილება ზემოხსენებულს მილიციას, გლეხებთანაც შეუთანხმებ ღალებზედ და სხვა მოთხოვნილებებზედაც.

ს. ქვეშის **თ-დი ლადო ნიკოლოოზის ძე ერისთავი.**

ღამის დეპეშები

(საკუთარ კორესპონდენტისაგან).

31 აგვისტო.

ვარშავა, 30 აგვისტო. მარტინ კაპრჟაკი, რომელსაც ორის აფიცრისა და ორის სალდათის მოკვლა ჰბრალდება, და აბრამ ხმელნიცკი, სალდათის მოკვლის განზრახვისთვის, ვარშავის სამხედრო სასამართლოს გადაწყვეტილებისამებრ, ჩამოარჩვეს: პირველი 16 აგვისტოს, ხოლო მეორე—27-ს.

ბაქო, 30 აგვისტო. გუშინ, მაჰმადიანის ალიევის სახლიდან პატრულს თოფები დაუშინეს. მაჰმადიანებს წინადადება მისცეს, დაჰნებებულიყვნენ, მაგრამ მათ თოფები ხელ-მეორედ დაუშინეს. ამისგამო სახლს ზარბაზნები ესროლეს და ერთიანად გაანადგურეს, ყველა მეამბოხენი დაიღუპნენ.

ტოკიო, 20 აგვისტო. მანჯურიაში რუსის ქვეითა ჯარის ორმა როტამ იერიში მიიტანა იაპონელებზე, მაგრამ იძულებული გახდა უკან დაეწია. რუსებს ოთხი კაცი მოუკლეს.

გოძიადანი. 29 აგვისტო. დღეს მთავარსარდალმა ოიამას საპასუხო დეპეშა გაუგზავნა და რწმუნებულების გაგზავნაზე სრული თანხმობა განაცხადა.

ტოკიო, 30 აგვისტო. (რეიტერი). ოსაკაში მომხდარმა დიდმა კრებამ შემდეგი რეზოლუცია გამოიტანა: „იმ ზავმა, რომელიც ჩვენმა მთავრობამ შეჰკრა აუარებელ გამარჯვებების ნაყოფი სულ გააქარწყლა. კონსტიტუციის საწინააღმდეგო მოქმედებამ კი არეულობა გამოიწვია იმ ქალაქში, სადაც მიკადო ცხოვრობს; კონსტიტუციის პატრონებს ლაქა წაეცხო. ამიტომ კრება იმედოვნებს, რომ ეს სამარცხვინო ზავი არ შეიკვრება, დღევანდელი მთავრობა კი სამსახურს თავს დაანებებს, კრებაზე ოთხი ათას კაცზე მეტი იღებდა მონაწილეობას. წარმოთქმულ იქმნა ოცი სიტყვა. პოლიცია საქმეში არ ჩარეულა.

ლონდონი, 30 აგვისტო. ტოკიოდან მოსული ცნობა ამოწმებს, რომ ადმირალ ტოგოს სადროშო ჯავშნიანი გემი დაიწვა და ჩაიძირა. ამ გემთან ერთად 599 კაციც დაიღუპა. არ იციან, თვით ტოგო გემზე იყო, თუ არა. დაწვრილებითი ცნობები არ მოსულა—საღამოთი ტოკიოში ზავის საწინააღმდეგო დემონსტრაცია მოხდა. პოლიციასთან შეტაკება მოუვიდათ. დაჭრილია ორმოცდა-ათ კაცამდე.

პეტერბურგი, 31 აგვისტო. როგორც გაზეთი „რუს“-ი იუწყება, პრესის ზედ-მეტ შევიწროვებისაგან განთავისუფლებასთან ერთად, საცენზურო უწყებაც შეიცვლება. პრესსა შინაგან საქმეთა სამინისტროს გამგებლობაში აღარ იქნება; ამისთვის განსაკუთრებულ უწყებას დააწესებენ. წინასწარი ცენზურა ყველგან მოისპობა.

„სლოვო“ იუწყება, რომ საკითხს ამნისტიის შესახებ განსაკუთრებული რჩევა განიხილავს. თვით ამნისტია ან ოქტომბერში მოხდება, ან ნოემბერში.

„ნოვოე ვრემია“ ბაქოში მომხდარ სისხლის ღვრის შესახებ ამბობს: „განსაკუთრებით გასაკვირველი ის არის, რომ კავკასიის ადმინისტრაციას, მიუხედავად ნავთის მწარმოებელთა მრავალკეც გაფრთხილებისა, მაინც ვერ წარმოედგინა, რომ ამისთანა ამბები შეიძლება მომხდარიყოო.—გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის დამამშვიდებელი პროგრამმა ფრიად ჰუმანიურსა და პროგრესიულ საძირკველზე იყო აშენებული; მაგრამ ეს პროგრამმა სრულებით არ ეთანხმებოდა ადგილობრივ მცხოვრებთა ხასიათსა და კულტურულ მდგომარეობას. მხოლოდ რუსეთის ძალას შეუძლიან კავკასიაში მშვიდობიანობა და სხვადასხვა ეროვნებათა შორის კეთილი განწყობილება ჩამოაგდოს.

„ს.-პეტერბ. ვედ.“ ბაქოში წესიერების აღსადგენად ენერგიულ ზომების მიღებას საჭიროდ ხედავს.

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

31 აგვისტო.

ბაქო, 30 აგვისტო. გუშინ, საღამოს ათს საათზე, ბარიატინის ქუჩაზე ზეიცის სახლი ზარბაზნის ყუმბარებით დაანგრიეს. ტრამვაიმ მუშაობა დაიწყო. ცხოვრებამ ჩვეულებრივი მიმდინარეობა მიიღო, თუმცა აქა-იქ სროლა მაინც ისმის. მოწინააღმდეგენი ვერ შეარიგეს. მაღაზიები ჯერ ისევ დაკეტილია. ვაჭრობა არ არის.

ბერლინი, 30 აგვისტო. 29 აგვისტოდან 30 აგვისტოს შუადღემდე ხოლერით რვა კაცი გამხდარა ავად; ამათგან სამი ავადმყოფი უკვე გარდაიცვალა.

ნიჟნი-ნოვგოროდი, 30 აგვისტო. ნავთის კრიზისის გამო ბირჟაზე ნავოსანთა კრება მოხდა.

ტოკიო, 30 აგვისტო. „მიკაზა“ს დაღუპვამ ყველა ლაალონა. ჯავშნიანი გემი მცხოვრებლებს ძალიან უყვარ დათ, რადგანაც ის ადმირალ ტოგოს სადროშო გემი იყო.

შანჰაი, 30 აგვისტო. პორტსმუტის მოლაპარაკების დროს, მიკადო შეჰკითხებია იამაგატას, რომელსაც ოიამასთან თორმეტი დღე გაუტარებია. იამაგატას წარუდგენია მოხსენება, რომ ლინევიჩზე გამარჯვება საეჭვოაო. ფიქრობენ, რომ ზავის პირობებზე ხელის მოწერა მიკადოს ამ გარემოებამ აიძულაო.

ნიუ-იორკი, აგვისტო. იაპონიის პარლამენტის წევრს მატცუმატას განუცხადებია, იაპონიის რწმუნებულები რომ უკეთესი დიპლომატები ყოფილიყვნენ, უფრო სასარგებლო პირობებით შეჰკრავდნენ ზავსო.

ტოკიო, 30 აგვისტო. აფეთქების დროს „მიკაზა“ სასებოში მდგარა. ტოგო ზედ არა ყოფილა.—გენერალმა მადრიატოვმა სამის პოლკით იერიში მიიტანა სუშანზე, მაგრამ იძულებული გახდა უკან დაეხია.

ნიუ-იორკი, 30 აგვისტო ვიტტე დღეს წავიდა. კომურა ავად არის. გამოსამშვიდობებლად ვიტტემ ტაკახირა ინახულა.

ოდესა, 30 აგვისტო. „ცესარევიჩით“ მოვიდა 190 კაცი, რომლებიც პორტ-არტურის დაცვაში იღებდნენ მონაწილეობას და 65 მატროსი, რომლებიც ცუსიმის ბრძოლაში იყვნენ.

ტოკიო, 30 აგვისტო. ჯერ აქ „მიკაზა“-ს დაღუპვის შესახებ არაფერი იციან. დამატებითი ცნობები გაზეთებს არ დაუბეჭდიათ. გუშინ ასაკში, მიტინგის დროს არეულობამ იფეთქა, 40 კაცი მსუბუქად დაიჭრა.

რომი, 30 აგვისტო. „ტრიბუნა“-მ გამოაქვეყნა დეპეშა, რომელიც იუწყება, რომ იაპონიაში ხელმეორედ იფეთქა არეულობამაო. კომურას ოჯახის წევრები, როგორც ამ ცნობებიდანა სჩანს, სულ ამოუხოციათ. ეს ხმები არა მართლდება.

დროებითი რედაქტორი **ფ. გოგიჩაიშვილი.**
გამომცემელი **თ. პავლე ი. თუმანიშვილი.**

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათ-ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.), 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) წრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ბ) ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 დილით 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 წ.)ს. 31

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ.) 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

დ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 6 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3 სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 6 წ. (11 ს. 7 წ.).

ე) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) დილის 9 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.) და 3) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.).

ბათუმისაკენ: 1) დილის 4 ს. (4 ს. 58 წ.); 2) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.); 3) საღამოს 7 ს. 22 წ. (8 ს. 20 წ.).

შორაპანიდი: ნაშუადღევის 1 ს. 20 წ. (2 ს. 18 წ).

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა—კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამ. გე ექიმი იგიტიანცი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა ექიმი კ. გძელიშვილი.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი თათევოსიანცი.

დიდუბის განყოფილება. ექ. შჩერბინა

თვალის სამკურნალო—კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევა'. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ასტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ელიმიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

Въ Центральной книжной торговлѣ въ Тифлисѣ заготовлены учебники, учебныя пособія и книги для домашняго чтенія учащихся въ среднихъ и низшихъ учебныхъ заведеніяхъ. Тамъ же имѣются и постоянно получаются общедоступныя изданія по современнымъ общественнымъ вопросамъ. (1 –10).

ახალი წიგნი —

ეროვნული ენა

თხზ. პეტრე სურგულაძისა

გამოცემა „ცისკარისა“ № 2.—ფასი 15 კაპ.

იყიდება შემდეგ ადგილებში:

ტფილისი: გაზ. „ივერიის“ კანტორა, და „ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოებაში“ და წიგნის მაღაზიაში „ცოდნა“ სოსიკო მერკვილაძესთან.

ქუთაისი: ამხ. „კოლხიდა“, ვ. ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზია და ქუთ. წიგ. გამ. ამხანაგობის კიოსკი.

ბათუმი: „ამხ. გუორგია“.

ფოთი: ლ. ახობაძე.

ოზურგეთი: ვ. ს. ხუნდაძე

ჭიათურა: ირაკლი დეკანოზიშვილი

გორი: მიხეილ არჩვაძე.

ახალციხე: ს. ე. ღვთისავარიშვილი.

ახალ-სენაკი: იოსებ ციბაძე.

НЕСТЛЕ
Дѣтская молочная мука
Сгущенное молоко НЕСТЛЕ.

ბუხჰალტერი-სპეციალისტი

(წელიწადი მესამე)

ამზადებს წელს ბევრად ვრცელ პროგრამით როგორც ვაჟებს, ისე ქალებს, თეორიულად და პრაქტიკულად, 1. **ორმაგ იტალიანურ და მარტივ ბუხჰალტერიასა, 2. საზოგადო სავაჭროსა, 3. ბანკისას, 4. კომერციულ არითმეტიკასა (საშუალო კომერც. სასწ. კურსია), 5. ფინანსიურ გამოანგარიშებასა, 6. არითმეტიკას საანგარიშო ჩოთქით, 7. კომერციულ კორესპონდენციასა, 8. ვაჭრობის ისტორიასა, 9. ვაჭრობის უფლებასა და ვექსილის კანონებში.**

(ბანკის ბუხჰალტერია და ვაჭრობის ისტორია მსურველთათვის).

სწავლა ყოველ დღე, საღამოს 5-დან 7 საათამდე. სწავლა ოთხ თვეს გასტანს. სწავლის გათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ. ფასი მთელი კურსისა 60 მანათი. სწავლა დაიწყება ენკენისთვის 10-ს 1905 წ.

ადრესი: ტფილისი, **ალ. ვ. საათაშვილს,** მეორე თუმანოვის ქუჩა, სახლი 17 (კუკიაში), მე-9 ნაწილში. პირადად მოსალაპარაკებლად ყოველ დღე, საღამოს 4-დან 8 ს-დის, კვირა-უქმეობით კი—დილის 9-დან 2 საათამდის.

მსმენელთ წელს გავაცნობ აგრეთვე სხვა საბუხჰალტერიო სისტემებსაც.

ვამზადებ ზემო-აღნიშნულ საგნებში აგრეთვე იმათ, რომელთაც საღამოს 7-დან 8 საათამდის შეეძლებათ სწავლა და, ამასთანავე, თუ ბუხჰალტერიის შესასწავლად დასჭირდებათ, საზოგადო არითმეტიკასა და რუსულ ენაშიაც. სწავლა გასტანს რვა თვეს. სწავლის გათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ.

პროგრამა კურსებისა მსურველთ უფასოდ ეძლევათ და გაეგზავნებათ.

(15—16) **ალ. ვ. საათაშვილი.**

Дозволено цензурою, Тифлисъ, 31 Августа 1905 г.

ელექტრომბეჭდავი „ცისკარი“, ფრეილინის. ქ., № 5.